# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 მაისი, 2012 წელი.

№89 (6966)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## „სააკაშვილის ეს ახირება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს“ ②



## როცა პრეზიდენტი უგვან იარლიყებს არიგებს ③



## ვაი ჩვენ, უპატრონოთ!



რატომ დაზიანდა წყლის კოლექტორი? პრეზიდენტი ვარაუდს გამოთქვამს ②

## რატომ მინდა, რომ ჩამრეცხოთ? ④

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

## პარლამენტის აშენების შემდეგ ქუთაისში მეტი მწვადი და ეკალა გაიყიდება ⑥

## პუტინის ახალი ერა, ანუ, მიხო, „მახო მოსულა“... ⑦

## საზოგადოება და ეკლესია ⑤





## „თბილისის თასზე“ ათმა ქვეყანამ იასპარეზა ⑩

## „ქუეყანასა ჩუენსა აფხაზეთს“ ⑨

## ბრიფინგი

**ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური კოალიცია „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა. ზვიადაური პრესკონფერენციაზე „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ წარადგინა.**

„ბიძინა ივანიშვილთან ერთად ვიბრძოლებ „ოცნების“ სასახელოდ. ქვეყანა კატასტროფისკენ მიდის. ბიძინა ივანიშვილი მოგვევლინა ქვეყნის გადასარჩენად და ამ ბრძოლაში მასთან ვარ“, – აღნიშნა ზვიადაურმა და დასძინა, რომ ზეწოლის მიუხედავად, მაინც გადაწყვიტა „ქართული ოცნების“ წევრი გამხდარიყო.

მაია ფანჯიკიძემ ბრიფინგზე საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის და „ქართული ოცნების“ წევრის კახა კალაძის ფეხბურთიდან წასვლის შესახებაც გააკეთა კომენტარი: კახა კალაძის პოლიტიკური მომავალი ამ ეტაპზე გამჟღავნებას არ ექვემდებარებაო, მისი თქმით, კალაძეს პირველივე დღიდან „ქართულ ოცნებაში“ ძალიან აქტიური როლი ჰქონდა და ეს როლი კიდევ უფრო გაიზრდება.

**„იგი საქართველოში არ იყო ფეხბურთის გამო და ახლა ამ მოვალეობისგან თავისუფალია. ერთი მხრივ, ეს ძალიან დასანანია და, მეორე მხრივ, ჩვენთვის ძალიან კარგია. კახა კალაძე ერთ-ერთი პირველია „ქართულ ოცნებაში“ – საინიციატივო ჯგუფის წევრია. აქამდე იმიტომ ვერ აქტიურობდა, რომ საქართველოში არ იყო. ამიერიდან კი ეს შეიცვლება“,** – აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

პრესსპიკერმა ჟურნალისტებს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოზიცია გააცნო საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ უკავშირდება კოალიციის ლიდერს ბიძინა ივანიშვილსო.

**„ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით სააკაშვილი კიდევ ერთხელ ცდილობს ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის უკანონო ჩამორთმევის გადაწყვეტილების დაფარვას. სააკაშვილი კონსტიტუციას რომ საკუთარ ინტერესებზე არგებს, ჩანს იმითაც, რომ სხვადასხვა დროს, იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელი ოპოზიციის ლიდერია მისთვის საშიში, სხვადასხვა ცვლილება შეაქვს კონსტიტუციაში. 2010 წლის 15 ოქტომბერს თავის მორჩილ პარლამენტს კონსტიტუციაში შეატანინა ცვლილება, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობას ვერ დაიკავებს საქართველოს ის მოქალაქე, რომელიც ამავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა“,** – განაცხადა ფანჯიკიძემ.



თუ მაშინ მან დანაშაულად ჩაუთვალა მათ ორმაგი მოქალაქეობა და ისინი არასრულფასოვან მოქალაქეებად გამოაცხადა, ამჯერად სააკაშვილი სრულიად სხვა ამოცანის წინაშე დგას, – განაგრძო ფანჯიკიძემ, – მან კიდევ ერთხელ თქვა უარი კანონიერი გადაწყვეტილების მიღებაზე, სხვა, სამართლებრივად აბსურდული გზა აირჩია, რითაც დაუპირისპირდა მის მიერვე ინსპირირებულ 2020 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო ცვლილებებს: **„სააკაშვილმა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ თავხედურად მოქცეოდა კონსტიტუციას და კიდევ ერთხელ მოერგო თავისი პოლიტიკური ინტერესებისთვის ქვეყნის ძირითადი კანონი. ამჯერად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეა და საქართველოში 10 წელი უცხოვრია, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს და არჩევითი თანამდებობის დაკავებას შეძლებს.**

**ამის გარდა, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებით, სააკაშვილი საბოლოოდ ამკვიდრებს ქართულ სამართლებრივ სივრცეში აბსურდს, არღვევს საქართველოს მოქალაქეების თანასწორობის პრინციპს კანონის წინაშე და ართმევს მას პოლიტიკურ უფლებებს, რომლის მინიჭებაც უცხოელი მოქალაქეებისთვის აქვს განზრახული. ამრიგად, სააკაშვილმა 2 წლის წინათ აუკრძალა საკუთარ მოქალაქეებს თავიანთი ქვეყნის მართვაში მონაწილეობა, ხოლო ახლა ევროკავშირის წევრ მოქალაქეებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას აძლევს უმაღლესი თანამდებობის დაკავების ჩათვლით“,** – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისი განმარტებით, სააკაშვილი თითქმის ყოველდღე ახალ-ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებს გვთავაზობს იმის მიხედვით, თუ რა არის საჭირო საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის თვალის ასახვევად. **„თითქოს მას არ ეშინია პოლიტიკური კონკურენციისა და თითქოს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური უფლებებისთვის ზრუნავს. ამასობაში არაფრით არ იღებს ყველაზე ადვილ, კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისა“,** – დაასკვნა ფანჯიკიძემ. მისი თქმით, თეორიულად შეიძლება ისიც კი მოხდეს, რომ პარლამენტი და მთავრობა მთლიანად დაკომპლექტდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებით. **„სააკაშვილის ეს ახირება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეები სახელმწიფო პოლიტიკური თვალსაზრისით ანგარიშვალდებული ხდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხები სცილდება საქართველოს მოქალაქეთა მონოპოლიური უფლებამოსილების ფარგლებს“...**

# „სააკაშვილის ეს ახირება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს“

ფანჯიკიძის თქმით, სასამართლო სწორედ სააკაშვილის მითითებას ასრულებს, ხელოვნურად ჭიმავს სასამართლო პროცესს, რათა არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილმა ვერ მოასწროს საბოლოო განაჩენის სტრასბურგში გასაჩივრებაო...

მაია ფანჯიკიძემ დასძინა ისიც, რომ იგი ბერლინში კონრად ადენაუერის ფონდის დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობდა, სადაც სიტყვით უნდა გამოსულიყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. ფანჯიკიძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ხელისუფლება და მისი წარმომადგენლები ავრცელებენ მათთვის ხელსაყრელი სიმართლის ვერსიას და აბსოლუტურად არარეალურ სურათს ხატავენ იმისას, თუ რა ხდება საქართველოში.

**„მე გავაცანი საზოგადოებას ის ვითარება, რაც რეალურად არსებობს საქართველოში, დაწყებული ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის დღიდან დამთავრებული უახლოესი ამბებით. დარბაზის რეაქციას შევატყვე, სწორედ ეს აინტერესებდათ, ვიდრე ბაქრაძის მიერ ტრაფარეტულად მოყოლილი წარმატებები საქართველოსი, რომლისაც უკვე საქართველოშიც აღარავის აღარ სჯერა. ამან, რასაკვირველია, მმართველი გუნდის გაღიზიანება გამოიწვია, რადგან მათ ეგონათ, ის მოედანი მათი იყო და მოჰყვებოდნენ იმას, რაც მათ უნდოდათ და მათი ნათქვამის შემფასებელი არავინ არ იქნებოდა.**

ფანჯიკიძის თქმით, იქ ბრძანდებოდნენ „რუსთავი-2“-ისა და „იმედის“ წარმომადგენლები, რომელთაც მთელი შეხვედრა გადაიღეს. ორივე არხმა ჩამომართვა ინტერვიუ, თუმცა არც ერთი წინადადება ეთერში არ გასულაო.

**„რამდენიმე დღის წინათ, 9 საათიან კურიერში მოვისმინეთ, რომ თურმე მე და ოპოზიციის სხვა ლიდერები, რომლებიც საზღვარგარეთ დადიან და იქ შეხვედრებს მართავენ პოლიტიკურ ლიდერებთან, აზიანებენ არა ხელისუფლებას, არამედ ქვეყანას. ჩვენი განცხადებები თითქოსდა ის არის, რომ საქართველო არ იმსახურებს არც ნატოში, არც ევროკავშირში ინტეგრაციას. კატეგორიულად უნდა გავაპროტესტო, რაც ისმის სახელისუფლებო ეთერში – ოპოზიციის ლიდერების მოგზაურობა და შეხვედრა ევროპაში ემსახურება მხოლოდ ერთადერთ რამეს – ეს არის სიმართლის მიტანა ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, ხოლო სიმართლე არასოდეს არ არის ის, რაც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას. ეს არის სწორედ იმის საწინდარი, რომ ქვეყანა დემოკრატიულად ვითარდება. ასევე, ეს არის იმის საწინდარი, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულ და თავისუფალ გარემოში. ეს რომ ასე მოხდეს, ოპოზიციის მოვალეობაა. რასაკვირველია, მთავარი პასუხისმგებლობა ამაში ხელისუფლებას ეკისრება“,** – დაასკვნა პრესსპიკერმა.

მისი თქმით, წინასაარჩევნო პოლიტიკური ბრძოლა არის ქვეყნისთვის სასიკეთო, ხოლო ამ არჩევნების ჩატარების ხარისხზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი განვითარება და მისი ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## რა გვეშველება?!

# ვაი ჩვენ, უპატრონოთ!

## რატომ დაზიანდა წყლის კოლექტორი? პრეზიდენტი ვარაუდს გამოთქვამს

**თბილისის სხვადასხვა უბანში წვიმის შემდეგ დატბორვა უკანასკნელ პერიოდში აღარავის უკვირს, თუმცა, საბედნიეროდ, ყველა ასეთი დატბორვა მსხვერპლით არ სრულდება. რატომ იტბორება თბილისი და რატომ არ გაატარა კოლექტორმა წყალი, რომელმაც თბილისში მძიმე შედეგი გამოიწვია? – ამ კითხვაზე პასუხი არავის აქვს. უბედური შემთხვევის მიზეზად კი სწორედ ეს სახელდება. არის თუ არა სანიაღვრე და სადრენაჟო სისტემები სტანდარტების დაცვით გაკეთებული? ან საერთოდ, არის თუ არა ექსპლუატაციისათვის ვარგისი?**

**„საქმე იმაში კი არ არის, ღელე ადიდდებოდა თუ არა. ჯერ ერთი, ალბათ, სტანდარტები დარღვეულია, მე არ ვიცი, სპეციალისტი არ ვარ, თქვენ უკეთ გეცოდინებათ“,** – ეს კომენტარი გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა, თუმცა გულისხმობდა თუ არა კოლექტორსა და სანიაღვრე სისტემებს, არ დაუკონკრეტებია.

სამწუხაროდ, პრეზიდენტის ვარაუდები არ იქნება სანუგეშო დაღუპულებისთვის და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანებისთვის, ვერც იმათთვის, ვისაც მთელი ცხოვრების განმავლობაში შრომა-გარჯით ნაშოვნი ქონება პირდაპირი გაგებით წყალმა წაიღო და გაუნადგურა „ალბათ სტანდარტებდარღვეულმა“ რაღაცამ. თუმცა, მაინც იმედია. იმედია იმისა, რომ თითოეული ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია და ამაზე ვინმემ პასუხი უნდა აგოს.

კოლექტორმა რომ წყალი არ გაატარა, ამის შესახებ პირველად თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა. მისი თქმით, კოკისპირული წვიმის გამო მოვარდნილმა ღვარცოფმა ორთაჭალაში, მთაზე მიწის ნაწილი მოწყვიტა, რამაც კოლექტორი ჩახერგა და წყლის კალაპოტის შეცვალა გამოიწვია.

სინოპტიკოსები აცხადებენ, რომ თბილისში ინტენსიური წვიმა სამი საათის განმავლობაში გაგრძელდა და 93 მმ ნალექი მოვიდა. თუმცა აღნიშნავენ, რომ ანალოგიური ვითარება 2008 წლის სექტემბერშიც მოხდა, თუმცა მაშინ ნალექი თითქმის ორჯერ მეტი – 183 მმ იყო. წყალდიდობა მაშინაც მსხვერპლით დასრულდა. გაჩიანში 5 ადამიანი დაიღუპა.

ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზირების სამმართველოს უფროსი სვეტა ნიორაძე „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში აცხადებს, რომ კატასტროფა გამოიწვია იმან, რომ კოლექტორმა წყალი არ გაატარა.

ოფიციალური ინფორმაციით, თბილისში სანიაღვრე წყლის დრენაჟის სისტემის მშენებლობა 1835 წელს დაიწყო. ზოგადად გამოყენებული იყო აგურის საკანალიზაციო კოლექტორები, რომელშიც ჩაედინებოდა ტექნიკური, სანიტარიული წერტილებიდან ჩამდინარე და სანიაღვრე წყალი და მდინარე მტკვარში იცლებოდა.



დღესდღეობით თბილისის სადრენაჟო ქსელი წარმოადგენს 150-დან 1200 მმ დიამეტრის კოლექტორებს, რომლებიც სხვადასხვა მასალისგან არიან შექმნილი, მათ შორის აგურისაგან, ბეტონისგან, კერამიკისგან, თუჯისგან, აზბესტცემენტისგან და პოლიეთილენისგან. ეს სადრენაჟო სისტემა თვითდინებით მიედინება, მაგრამ მოძველებულია და საჭიროებს საკმაო ინვესტიციებს რეაბილიტაციისათვის. სისტემის მთლიანი სიგრძე 1600 კმ-ია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელმა ნინო ჩხობაძე, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივის რესურსების ყოფილი მინისტრია, „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში აცხადებს, რომ სადრენაჟო სისტემა თბილისში ძალიან ავარიულ მდგომარეობაშია და დაახლოებით 20 წელია, არ გაწმენდილა. ამასთან, ჩხობაძე ამბობს, რომ უხვი ნალექის მოსვლის შემდეგ გაუმართავი სანიაღვრე არხები წყალს ვერ ატარებს, რის გამოც წყალდიდობები ხდება.

გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი იმ პერიოდსაც იხსენებს, როდესაც თბილისში მოვარდნილმა ღვარცოფმა კატასტროფული შედეგები მოიტანა.

**„თქვენ არ დაგავიწყდეთ 60-იან წლებში თბილისში საშინელი წყალდიდობა იყო და ძალიან დიდი მსხვერპლი, ღვარცოფული მოვლენა განვითარდა თბილისში. ამის შემდეგ სანაპიროზე გაკეთდა ძალიან კარგი სადრენაჟო სისტემა. ეტყობა ამდენი ნალექის შედეგად, ეს სისტემა დაზიანდა და ვერ გაატარა წყალი“,** – განაცხადა ჩხობაძემ.

ყოფილი მინისტრი კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ არაკვალიფიციურობის გამო სანიაღვრე სისტემებს აბეტონებენ.

**„ძალიან ბევრ შემთხვევაში მშენებლებმა არ იციან, როცა რაღაცას აშენებენ, რომ კეტავენ სანიაღვრე არხებს. იგივე შემთხვევა მოხდა ბათუმში, ქობულეთში. წყალში დაიხრჩო ხალხი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სანიაღვრე სისტემებზე დაასხეს ასფალტი. ჩქარა რომ კეთდება რაღაცა, არ ჰყავთ კვალიფიციური ინჟინრები და აბეტონებენ სანიაღვრე სისტემებს“,** – აცხადებს ჩხობაძე.

სტიქიური უბედურება ყველგან ხდება და ამინდის ანომალიით გამოწვეული მოვლენები არც ჩვენთან უნდა გამოირიცხოს. მაგრამ როდესაც კატასტროფის შედეგად ადამიანები იღუპებიან, მუდმივად რჩება ხოლმე იმედი, რომ ეს არის ბოლო შემთხვევა, რომ ამის შემდეგ გაითვალისწინებენ უამრავ შეცდომას და რომ ცალკეული პიროვნებების არაპროფესიონალიზმს, ამბიციურობასა და, ხშირ შემთხვევაში, ახირებულ თვითნებობებს წერტილი დაესმება. ბუნება რომ მბრძანებელია, ამას გონიერი ადამიანებისთვის აქვს შინაარსიც და დატვირთვაც. არაგონიერებმა კი სანიაღვრე სისტემებს აბეტონებენ.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

## აუწონავი სიტყვა

დიდი უკუღმართი რამ არის ენა.

ნაჯახზე უფრო მჭრელი და მოსარიდებელი.

ოღონდ ერთი კია, ბასრ იარაღს თვით მისი პატრონის დაზარალებაც ძალუძს.

ეს მაშინ, როცა პატრონს თავისი ენის უგზოუკვლოდ ქნევა ხელიდან აღვირს აცლის.

სამწუხაროდ, ასეთი რამ — საკუთარი ენით თვითდაკოდვა არცთუ იშვიათად მოსდის საქართველოს პრეზიდენტს.

ნათქვამი ავად მოუბრუნდება ხოლმე.

მოგეხსენებათ, სიტყვა ჩიტი არ არის, გაგიფრინდეს და დააბრუნო, მთელი ქვეყნის ბაზიერებიც რომ დაადევნო მიმინოებით.

ბატონ პრეზიდენტს სხვა სიკეთესთან ერთად ბევრი ლაპარაკი უყვარს და ამ დროს ავიწყდება სიბრძნე, რომ ბევრი ლაპარაკი და ბევრის თქმა ერთი და იგივე არ არის;

რომ უმჯობესია მეტის მოსმენა.

რომ არაფერია იმაზე დიდი სიბრიყვე, რომ ყოველთვის ყველაზე ჭკვიანი ხარ.

ბატონ მიხეილს ეს ყველაფერი უმალ ავიწყდება, როგორც კი თავის მოძრავ ტრიბუნაზე შედგება და პირს გააღებს.

ავიწყდება რომ „შეიძლება ხალხის ნაწილი გააბრიყვო სამუდამოდ, შეიძლება გააბრიყვო მთელი ხალხი გარკვეული დროით, მაგრამ შეუძლებელია მთელი ხალხის სამუდამოდ გაბრიყვება“.

არადა, ამ სიბრძნის ავტორი აბრაამ ლინკოლნი დიდი პრეზიდენტი იყო და საკუთარი გამოცდილებით უწყოდა, რასაც ამბობდა.

ამას წინათ მიხეილ სააკაშვილი ყვარელში ბრძანდებოდა საყოველთაო კომპიუტერული სწავლების, ასე ვთქვათ, პრეზენტაციაზე და ეს მოვლენა „ორგანულად“ შეუწყვილა ილიასეულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ყველაფერი ისე მიაწოდა შეკრებილ საზოგადოებას, რომ იგულისხმებოდა: ასი წლის წინათ — ილია, ასი წლის შემდეგ — მეო.

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, ჩვენს დიდ კლასიკოსებს დღევანდელ ეპოქაში რომ ეცხოვრათ, ქართული გაზეთების ნაწილი მათ მკაცრად დაესხმოდა თავსო.

ეს ცინცხლად წარმოგვიდგინა:

„დღეს რომ იაკობ გოგებაშვილი იყოს, აბა გამოიცანით „ასავალ-დასავალი“ ყოველ კვირას რას დაწერდნენ ამ კაცზე და რას დაწერდა ილია ჭავჭავაძეზე ან „ალია“ ან ათასგვარი სხვა მოფაშისტო ელემენტები და გაზეთები. შეჭამდნენ, გადალეჭავდნენ და გაგლეჯდნენ შუაზე, იმიტომ რომ ისინი ქადაგებენ ზუსტად იმას, რასაც ილია უწოდებდა „უმეცრების ფართიფურთს“.

აქაც ძალაუნებურად იგულისხმება: ასი წლის წინათ ასე ესხმოდნენ თავს დიდ ილიას, ასი წლის შემდეგ ასე მესხმიან თავზე მე — მეორე ილიასო; ილია ჭავჭავაძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლამპარი იყო, მე უფრო დიდი მოვლენის — ქართველთა შორის კომპიუტერული განათლების მეჩირაღდნე ვარო.

როგორც ხედავთ, ზემორე წარმოდგენილი „ხატოვანი“ შედარების დროს ორ პატივსაცემ, პოპულარულ გაზეთს ისე მიაყენა შეურაცხყოფა, თვალიც არ დაუხამხამებია.

ის „მოფაშისტო“ გაზეთები თავიანთ სათქმელს, ალბათ, თვითონ იტყვიან, ჩვენ კი ჩვენი გვაქვს სათქმელი.

მას შემდეგ, რაც ორ გაზეთს „უმეცრების ფართიფურთი“ და „მოფაშისტურობა“ უკიჟინა, „საქართველოს რესპუბლიკას“ გადასწვდა.

ეს გადმოწვდომა კი დაიწყო იმით, რითიც ყველა დროში კომუნისტები იწყებდნენ მეფის რუსეთთან თავიანთი რეჟიმის სოციალ-ეკონომიკური უპირატესობის ხაზგასმას — 1913 წელთან შედარებას.

ბატონმა მიხეილმაც, ჩვეულებისამებრ, წინამორბედ პრეზიდენტს გაჰკრა კბილი:

მცდარი შეხედულებებით გამოირჩეოდა, რადგან „უგემოვნო გაზეთებს კითხულობდაო.

„ჩვენ მოვდივართ იქიდან, სადაც ჩემი წინამორბედი ყოველ დილას იწყებდა „საქართველოს რესპუბლიკის“ და „ლიტერატურული საქართველოს“ კითხვით, ორი ულტრაფაშისტური გამოცემით საქართველოში. ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობდით ჩვენ, ამიტომ მთავარი გარანტი იმისა, რომ ასეთი რამ აღარასოდეს დაბრუნდება უკან, არის განათლება, განათლება და კიდევ მეტი განათლება“ — დაასკვნა სააკაშვილმა.

ისე, ეს ახალი სლოგანი „განათლება, განათლება და კიდევ მეტი განათლება“, ძალიან გვაგონებს დაუვიწყარი ილიჩის „სწავლა, სწავლა და სწავლას“...

მაგრამ ეს როდია მთავარი.

ჟან-ჟაკ რუსო ამბობდა, ძალაუფლება ყველაზე ძლიერი აღმგზნები საშუალებააო.

# როცა პრეზიდენტი უგვან იარლიყებს არიგებს



აღგზნება კი ყოველთვის როდია „ცივი გონების“ ხელშემწყობი, მით უმეტეს, ისეთი იმპულსური კაცისთვის, როგორც საქართველოს პრეზიდენტი ბრძანდება.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ულტრაფაშისტური გამოცემა იყოო.

მართალია, აქ წარსულ დროზეა ლაპარაკი, სულ ცოტა რვა წლის წინანდელზე (ყველაფერს თავი დავანებოთ, „ლიტერატურული საქართველო“ სულ ცოტა ორი-სამი წელია აღარ გამოდისძ, მაგრამ ხანდაზმულობა ბრალდებას მაინცდამაინც არ ამსუბუქებს.

არც ის, რომ „ულტრაფაშისტობა“ ისეთი ოდიოზური პიროვნებიდან მომდინარე გვგონია, როგორიც კახა ბენდუქიძეა (მან ერთხელ, წლების წინათ, ასე „დაგვგმო“ძ, რადგან, როგორც ცნობილია, პრეზიდენტი ქართულ გაზეთებს არ კითხულობს (ჰადაჰა, შეიძლება იქნებ „24 საათი“, „პრაიმ-ტაიმი“ და „ტაბულა“ წაკიკნოს ხანდახანძ და ბუნებრივია, არც ასეთი „შეფასება“ მოაფიქრდებოდა ცარიელ ადგილზე.

და მაინც, რას ნიშნავს „ულტრაფაშისტობა“, რომლითაც ასე გულუხვად და ხელაღებით დაგვაჯილდოვა ბატონმა პრეზიდენტმა?

ულტრაფაშიზმი, ნეოფაშიზმი — ეს ცნება აერთიანებს ყველაზე რეაქციულ თანამედროვე ნაციონალურ მოძრაობებს, რომლებიც მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ დაშლილი ფაშისტური ორგანიზაციების მემკვიდრეები არიან.

ეს ახალი, თანამედროვე ტიპის ფაშიზმია, უკიდურესად რეაქციული იდეოლოგია, რომელიც გამოდის ანტისემიტური, ნაციონალისტური და რასისტული პოზიციებიდან.

ნეოფაშიზმი ისე მოექალა დღევანდელ მსოფლიოს, რომ ცოტა ხნის წინათ გერმანიაში ნეოფაშისტების სპეციალური ბაზის შექმნაც კი ჩათვალეს საჭიროდ, რადგან სახელმწიფო სტრუქტურებს დღითი დღე სულ უფრო უჭირთ ფაშისტების ახალი ტალღების მოგერიება.

ნეოფაშისტები გვირჩევენ, გვაფრთხილებენ: ნუ ვებრძვით ეთნიკურ, სექსუალურ თუ რელიგიურ უმცირესობებს, ვებრძოლოთ რეალურ უმცირესობებს, რომლებსაც პოლიტიკოსები და კაპიტალისტები ჰქვიათო.

SIC! ფაშიზმი, გინდ ნეო იყოს და გინდ ულტრა, არის სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის შედეგი, რომელიც წარმოიშობა უთანასწორობის დროს სხვადასხვა კლასსა თუ ფენაში და პირველ რიგში საზრდოობს ნაციონალიზმის იდეალებით, ანტინაციონალიზმისა და კლასობრივი სოლიდარობის საპირისპიროდ.

მერედა რითი ჰგავდა ოდესმე ან ახლა რითი ჰგავს, ბატონო პრეზიდენტო, ფაშისტურს, მით უფრო ულტრაფაშისტურს ჩვენი გაზეთი?

რა შეგვამჩნიეთ ულტრაფაშისტობისა?

ის, რომ შესამჩნევს ვამჩნევთ, თვალს არ ვხუჭავთ და არ გიმალავთ, სიმართლეს გეუბნებით, ხანდახან ერთობ მწარესაც?

ამისთვის ხომ თქვენგან მადლობა გვეკუთვნის და არა საზიზარი იარლიყის მოკერება!

მაგრამ, საუბედუროდ, თქვენ გიჭირთ ბოროტისა და კეთილის გარჩევა, ახლა შეპყრობილი ხართ საარჩევნო გენერალურ ბრძოლაში მოსალოდნელი მარცხის შიშით და რაკიღა შიშს დიდი თვალები აქვს, ყველგან ჩასაფრებული მტერი გელანდებათ.

მაგრამ ეს „მოფაშისტურობა“ და „ულტრაფაშისტობა“ მაინც ახალია. როგორც ჩანს, „იდეოლოგიური ბრძოლის“ ახალ მიჯნაზე გახვედით და ამ ბრძოლაში გინდათ ცხვარივით წაგვაკლათ!

და იმ დროს, როცა ამ ილუზორულ „ულტრაფაშისტობაში“ ამხელთ „საქართველოს რესპუბლიკას“, მხედველობიდან გრჩებათ ძალზე საგანგაშო ამბავი: საქართველოში თანდათან ფეხს იდგამს ნამდვილი ნეოფაშიზმი (მართალია, ჯერჯერობით ერთობ მოკრძალებული მასშტაბითძ!

აი მაგალითები:

წლეულს, 30 იანვარს, თბილისში მოეწყო „სკინჰედი“ ნეონაცისტების მცირე აქცია. მას მსვლელობის სახე ჰქონდა. ქალაქის ცენტრში თავხედურად აფრიალებდნენ ნაცისტურსიმბოლოებიან დროშებს. აღსანიშნავია, რომ ისინი არა თინეიჯერები, არამედ, ზრდასრული პიროვნებები იყვნენ.

არიან იმის თვითმხილველები, რომ გუდიაშვილის მოედანზე შავ და წითელ სვასტიკიან ტანსაცმელში გამოწყობილი რამდენიმე ახალგაზრდა ხაზგასმული აგრესიულობით იპყრობდა ყურადღებას.

ისინი შენიშნეს რუსთაველის გამზირზეც.

არის ცნობები, რომ სვასტიკიანი ახალგაზრდები თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში თავს დაესხნენ ჩინელ მოქალაქეს...

ეს ჯერ კვირტებია, ყველაფერი შემდეგ გაიფურჩქნება და არც შხამიანი ნაყოფი დაიგვიანებს...

აი ამას უნდა, ბატონო პრეზიდენტო, ყურადღების დროულად მიქცევა და არა „კატის ძებნას ბნელ ოთახში, თანაც როცა კატა ოთახში არ არის“.

თქვენ ყურადღებას საგანგებოდ კიდევ ერთხელ მივაქცევთ ზემოთ ნათქვამს: ფაშიზმი სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის შედეგია, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების სხვადასხვა კლასში უთანასწორობის დროს“.

ეს „შედეგები“ და „წარმოშობის მიზეზი“ კი ჩვენში, სამწუხაროდ, უხვად არის...

თქვენ ქვეყნის მეთაური ბრძანდებით და თქვენი ყველა ნათქვამი მომეტებული ყურადღებით აღიქმება.

ამიტომ თქვენი ყოველი სიტყვა საგანგებოდ უნდა აიწონოს.

აკი ნათქვამია, ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდაო, მით უფრო, თუ ეს სიტყვები დაუმსახურებელი და შეურაცხმყოფელია.

**ალეკო ასლანიშვილი**

## განუკითხაობა

საქართველოში, ხელისუფლება რომ ცენტრალიზებულია და ადგილობრივი თვითმმართველობის უძლური ორგანოები უფუნქციოდ არიან დარჩენილნი, ამის დადასტურებაა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებული პროცესები.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, დაანგრიეს ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი, ხოლო მის გვერდით მდებარე ბოტანიკურ ბაღში დაიწყო 100-150-წლოვანი უნიკალური ჯიშის ხეების გაჩეხვა.

# სად ველოტრასა და სად — ბოტანიკური ბაღი?!

## რატომ იჩეხება ბოტანიკურ ბაღში უნიკალური ჯიშის ხეები?

დაგეგმილია ბოტანიკური ბაღის შესასვლელიდან პრეზიდენტის რეზიდენცია „მეგრულ ოდამდე“ ერთკილომეტრიანი — 8 მეტრი სიგანის ველოტრასის გაკეთება.

ველოტრასის კეთება და ხეების გაჩეხვა ისე დაიწყო, რომ არაფერი უკითხავთ არც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის, არც საკრებულოსთვის და არც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად ფაქტობრივად ისევ რჩება სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძემ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გააშენა და სადაც ხარობს უნიკალური ჯიშის ხეები, ამჟამად განადგურებული და გაჩანაგებულია. რამდენიმე წელია, ბაღს არ ჰყავდა პატრონი. ფორმალურ მფლობელად ეკონომიკის და მდგარადი განვითარების სამინისტრო ითვლებოდა, რომელიც მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, ჯიუტად არ თმობდა ბაღს და არ აძლევდა ადგილობრივ მმართველობას. სწორედ ამან მიიყვანა ბაღი გავერანებამდე. შარშან დეკემბერში ეკონომიკის სამინისტრომ „კეთილი ნება“ გამოიჩინა და ბაღი ადგილობრივ მმართველობას დაუთმო. გაიხარეს ზუგდიდელებმა, „აწი მაინც ეშველება ჩვენს სათაყვანებელ ბაღსო“, მაგრამ ამ გადაცემაში თურმე მზაკვრული გეგმა იყო ჩადებული:

იხ. 7 გვ.

# რატომ მინდა, რომ ჩამრეცხოთ?

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

### გამარჯობა, ბატონო პრეზიდენტო!

უწინარესად, მინდა განგიმარტო, რატომ გელაპარაკები შენობით — ქართველ კაცს ორი სალოცავი ჰყავდა მუდამ: მეფე და ღმერთი, და ორივეს შენობით მიმართავდა. შენდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არც ერთ მათგანზე მეტად არ მიმაჩნიხარ და, შესაბამისად, არც ერთ მათგანზე მეტად საპატივცემულოდ არ მოგმართავ.

გწერ მზიანი ქიზიყიდან. კერძოდ, დედოფლისწყაროს რაიონიდან.

თუ არ გახსოვს, რომელია დედოფლისწყაროს რაიონი, ვეცდები, გაგახსენო: ეს ისაა, რომლის არსებობაც რუსებს შენზე და შენი გუნდის წევრებზე ადრე გაახსენდათ და 2008 წლის აგვისტოში დაბომბეს.

კიდევ რომელია, იცი? მხოლოდ მაშინ რომ ახსენდებათ შენს ტელევიზიებს, თუ ბავშვს გველი უკბენს, ან თუ ცოლი ქმარს ნაჯახით აკუწავს.

აბა, კიდევ რითი გაგახსენო? აი, შენ რომ სიღნაღი გაარემონტე და აალორძინე, ხომ გახსოვს? სიყვარულის ქალაქი რომ უწოდე, რომლის შენობების რესტავრირებული სახურავები საეჭვოდ წააგავს საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილას შენობების სახურავებს, ხომ გაგახსენდა? ტურისტულ ცენტრად რომ აქციე და ღვინის ფესტივალს რომ მართავ ხოლმე უცხოელებისთვის, სასტუმროები რომ გაიხსნა და 24-საათიანი უწყვეტი ელექტროენერგია რომ მიეწოდება — აი, მაგ სიღნაღის გვერდით მდებარეობს დედოფლისწყაროს რაიონი, რომელშიც მე ვზივარ ახლა და მეორე მსოფლიო ომის დროინდელი საბჭოთა რადისტის სიჩქარით ვკრეფ ამ ტექსტს, იმიტომ, რომ შუქი როდის ჩამიქრება, არ ვიცი!

**ჰო, ბატონო პრეზიდენტო, შეხვედრებზე ხალხის წრეში აბდუშაჰელიშვილის რომ დადიხარ ხოლმე: შევარდნაძის დროს სიბნელე იყო და მე გავანათე საქართველოო — დედოფლისწყაროში ახლაც სიბნელეა, ბატონო პრეზიდენტო! დღე არ გავა, რომ შუქი არ ჩაქრეს, წყალი არ შეწყდეს და ძალიანაც რომ დაგაინტერესოს, პასუხის გამცემიც არავინაა, თუ რატომ ხდება ეს.**

სჯობს, ახლა თემა შევცვალო, თორემ შენი მაქებარმაძაგებლების ამბავი რომ ვიცი (ერთი ყაიდისანი არიან ორივენი და იმიტომ დავწერე ერთად), პროვინციელობას დამაბრალებენ და თუ გაიგეს, რომ ინგლისურზე უკეთ რუსული ვიცი, არც სიტყვა „მეინსტრიმის" მნიშვნელობა მესმის და არც თბილისში ვარ დაბადებული, შესაძლოა, ქსენოფობია და რუსეთის აგენტობაც კი დამწამონ (ასე იციან ხოლმე შენმა მტრებმაცა და მოყვარეებმაც — სხვას რომ ვერაფერს უპოვნიან ადამიანს საშაროს, ქსენოფობიასა და რუსეთის აგენტობას აბრალებენ ხოლმეძ.

### გმადლობ, ბატონო პრეზიდენტო!

დავიწყოთ იმით, რომ მადლობა მინდა, გადაგიხადო.

მადლობა იმიტომ კი არა, რომ სიღნაღი გაარემონტე, ან ბათუმი დაამშვენე, ან ქუთაისი ააყვავე.

არც იმიტომ, რომ კრიმინალი შეამცირე, ან ბიზნესი გაამარტივე, ან კორუფციას ებრძვი.

მადლობა იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ და მრავალჯერ დაგვანახვე, რა ნაგავი სუფევს ჩვენს გარშემო!

შენმა მმართველობამ გამოავლინა და დღის შუქზე გამოიყვანა ხალხი, რომლის ნდობაც, თურმე, არ შეიძლება. ხალხი, რომელთა მოღრეცილ ტვინებშიც „მოდელირებული ქრონიკის" იდეა ჩაისახა, სცენარი დაიწერა და განხორციელდა — მათი გამოაშკარავებისთვის — გმადლობ, ბატონო პრეზიდენტო!

შენს მიერ დასაქმებული, ყლინჯდამშვენებული (ჰალსტუხს ნიშნავს ქართულადძ და ჯიკოსანი პიროვნებების გვერდით უფრო კარგად ვჩანვართ სიღარიბის ზღვარზე და ზღვარს ქვემოთ მყოფი არსებები, რომელთაც პიროვნებებად აღარავინ აღგვიქვამს. იმიტომ კი არა, რომ ქმედუუნარონი ვართ — არა, უბრალოდ ინგლისური არ ვიცით ისე, როგორც უნდა ვიცოდეთ!

**შენს მიერ გალამაზებული ქალაქების ფონზე უფრო კარგად ჩანს ჩამონგრეული, დაძონძილი და გაუბედურებული ქალაქები, რომელთაც შენი ყოვლისმხილველი მზერა ჯერ არ მიპყრობია, და თუ კონსტიტუციას დავუჯერებთ, ვეღარც უნდა მიაპყრო, იმიტომ რომ შენი წასვლის დრო ახლოვდება.**

სანამ წასვლის დროზე გეტყოდე ორიოდ სიტყვას, მინდა გაგახსენო, რომ შენს მიერ გაკეთებულ გზებზე ისევ ის გასაცოდავებული, დაბეჩავებული და ღირსებააყრილი ხალხი დადის, რომელიც მანამდე დანგრეულ გზებზე დადიოდა, ისევ იმ ექსპლუატაციის ვადაგასული, ევროპელების გამონაცვალი მანქანებითა და გაძვირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რომლითაც მანამდე დადიოდა.

მაგრამ რაც ყველაზე მთავარია — ეს ხალხი არსად მიდის, ბატონო პრეზიდენტო! არ მიდის არა იმიტომ, რომ წასასვლელი არსად აქვს, ან საზღვარგარეთ ვერ მიდის — არა, უბრალოდ არსად მიდის, იმიტომ, რომ შენს მიერ დაგებული არც ერთი გზა სამსახურამდე არ მიდის, ბატონო პრეზიდენტო!

**გზა რომ კეთდება, ძალიან კარგია, მაგრამ გზის ფუნქცია ერთადერთია — მან ადამიანი სადმე უნდა მიიყვანოს. ჩვენთვის კი ეს „სადღაც" დიდი ხანია, არსადაა! მეგობრებთან ვერ მივდივართ — არ გვინდა ხელცარიელი მისვლა, სამსახურში ვერ მივდივართ — არ გვაქვს, ნათესავებთან ვერ მივდივართ — უფულო და უსამსახურო ნათესავს კი არა, ოჯახის წევრებს აღარ ვჭირდებით - და ვდგავართ ასე, შენს მიერ გაკეთებული, განათებული და გალამაზებული გზის პირას და ხელის გაწვდენა გვაკლია მათხოვრობამდე (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით).**

### რატომ, ბატონო პრეზიდენტო?

ახლა კი მცირე ინფორმაციას ჩემს შესახებაც მოგაწვდი — მე პროფესიით ჟურნალისტი ვარ. ძალიან ბევრ გაზეთსა და ჟურნალში მიმუშავია, იყო დრო, როცა ჩემი ჰონორარით თავსაც ვინახავდი, ბინის ქირასაც ვიხდიდი და ცოტა-ცოტა გართობისთვისაც მრჩებოდა.

მაგრამ ის ძველი დრო იყო, ჩაბნელებული ქუჩებითა და პრორუსული ორიენტაციით. მერე შენ მოხვედი, რეფორმები გაატარე, ჯერ პრესა გაათავისუფლე გადასახადებისგან, მერე ორმაგი დააკისრე, მერე რუსეთთან ომი წავაგეთ (მარტო შენ ხომ ვერ დაგაბრალებ, მაგ ომს შენ კი არა, დავით აღმაშენებელიც ვერ მოიგებდაძ, ყველაფრის ფასი ჯეკ-პოტივით გაიზარდა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, გეგონება ეს ყველაფერი არ კმაროდა, შენც ინგლისურის ცოდნა სავალდებულო გახადე და აი, მანდ გავიჭედე — არც ერთ გაზეთში აღარ იხდიან იმდენს, რომ მუშაობად ღირდეს.



კი, ვიცი, მეტყვი — ხალხი ხომ მუშაობს პრესაში, აბა, იმათ როგორ ჰყოფნითო?

გიპასუხებ: ისინი (ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობაძ თბილისში საკუთარ ბინებს ფლობენ, ან ალტერნატიული შემოსავალი აქვთ. მე ყველაფერთან ერთად ბინის ქირაც უნდა გადავიხადო, კომუნალური გადასახადებიც (ის გადასახადები, შენი გუნდის წევრებმა ელექტროენერგიას დასუფთავება რომ მიამატესძ, ოჯახიც უნდა შევინახო და სამსახურშიც ვიარო.

ახლა ბლოგერი მქვია, ორ ინტერნეტგაზეთში ვწერ ყოველკვირეულ ბლოგპოსტებს და თითოში 30 ლარს მიხდიან. სულ რომ თავი გავიგიჟო, კვირაში 90 ლარზე მეტს ვერ გამოვიმუშავებ.

**ანუ, რეალურად რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტს მამცნობენ შენი ტელევიზიები, რომ ქვეყანა წინ მიდის, ჩემი საქმე უფრო უკან-უკან მიდის. რაც უფრო მეტი მსოფლიო დონის ვარსკვლავი ჩამოდის საქართველოში, მით უფრო ნაკლები მაქვს შემოსავალი — რატომ, ბატონო პრეზიდენტო? რისი ბრალია, შეგიძლია, მიპასუხო?**

მარტო მე რომ ვიყო ამ დღეში, ამ წერილსაც არ დავწერდი, მაგრამ ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ ყოფაში ჩემ გარდა ათასობით ადამიანია.

იმედიც რომ აღარაფრისა მქონდეს, არც მაშინ დავწერდი ამ წერილს, იმიტომ რომ აზრი არ ექნებოდა. მაგრამ ამ ოხერ გულში მაინც ბჟუტავს იმედის ის ნაპერწკალი, რომელიც ყველა ქართველის გულში მოიპოვება, რომელსაც შენ წარმატებით აგროვებ ხოლმე, შემდეგ მისგან დიდ კოცონს აგიზგიზებ და შემდეგ ამ კოცონზე შენ და შენი გარემოცვა ითბობთ ხოლმე ხელებს.

**არ მითხრა ახლა, მე რა შუაში ვარო — შენ ხარ შუაში, ბატონო პრეზიდენტო, სწორედ! შენ ხარ გარანტი, რომ ეს მარაზმი, რომელშიც ახლა მე და ჩემნაირები ვცხოვრობთ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.**

შენ ხარ სიმბოლო, რომ საქართველოში არც ცხოვრება იქნება ოდესმე საყოველთაოდ შესაძლებელი და ვერც იმდენ ფულს ვიშოვი ოდესმე, რომ აქედან სადმე წავიდე. ამიტომაც, უმორჩილესად გთხოვ,

### ჩამრეცხე, ბატონო პრეზიდენტო!

**ჩამრეცხე, იმიტომ, რომ ინგლისური არ ვიცი, არც საშუალება მაქვს, ვისწავლო და არც თბილისელი ვარ, რომ ქალაქის მერის ინიციატივით უფასოდ მასწავლოს ვინმემ.**

**ჩამრეცხე, იმიტომ, რომ არ მჯერა ამ ქვეყნის ნათელი მომავლისა!**

**იმიტომ კი არა, რომ შენი შესაძლებლობების არ მჯერა.**

**არც იმიტომ, რომ ამქვეყნად აღარაფრისა მჯერა, მას შემდეგ, რაც პირველი შვილისთვის პირველი სათამაშოს საყიდლად დაგროვილი კაპიკებით მეუღლეს წამალი ვუყიდე.**

**უბრალოდ იმიტომ, რომ არ მჯერა ქვეყნის მომავლისა, რომლის ხელისუფლებასაც შოთა მალაშხია წარმოადგენს, საპარლამენტო ოპოზიციას - პაატა დავითაია, ხოლო არასაპარლამენტოს - კოკა გუნცაძე.**

**არ მჯერა ქვეყნის მომავლისა, რომლის პარლამენტშიც დეპუტატი, თუნდაც აკაკი ბობოხიძე, ფიზიკურად უსწორდება ოპოზიციონერს, თუნდაც პეტრე მამრაძეს, და რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე, თუნდაც დავით ბაქრაძე, არანაირ სანქციას არ აკისრებს - ნაციონალია და იმიტომ.**

**არ მჯერა ქვეყნის მომავლისა, რომლის ტელეეკრანზეც ჩვენი მეზობელი ქვეყნის ლიდერის, თუნდაც ვლადიმერ პუტინის საქციელზე კომენტარს სვიმონ მასხარაშვილი აკეთებს.**

**შენ წარმოიდგინე, ვხვდები ამის მიზეზსაც. მახსოვს, მტრის დამცირების მიზნით თამარ მეფემაც გაცვალა რუქნ-ად-დინის დატყვევებული სარდალი ჯორის ნალში, მაგრამ უნდა გაგახსენო, რომ თამარს ამ დროს შამქორი და ბასიანი ჰქონდა მოგებული, ბატონო პრეზიდენტო!**

**არ მჯერა ქვეყნის მომავლისა, სადაც შენი ტელევიზიის ეთერში გამოდის მიმლოცველთაგან ერთ-ერთი ყმაწვილი (გიგი უგულავა რომ ქალაქის მერი გახდა, რიგში რომ იდგნენ მისალოცად, იმ მიმლოცველებს ვგულისხმობ), კერძოდ, სტეფანე მღებრიშვილი და მეუბნება, რომ თურმე ჩემი სიღარიბისა და წარუმატებლობის მიზეზი „უგულაობა", ანუ „გულაობის" ნაკლებობა ყოფილა - „გულაობაც" კარგი ვიცი და ფიზიკურ შესაძლებლობებსაც არ ვუჩივი, „სტიოპამ" იქნებ ისიც მითხრას, თვითონ რომ მიმლოცველია და მოზრდილ ულუფასაც იღებს საერთო ჯამიდან, მე რა ვქნა, რომელიც ფაქტობრივად უმუშევარი ვარ და ყოველდღიურად სარჩოს ძებნა მიწევს — როგორ „ვიგულაო"? მეც მიმლოცველი გავხდე?**

**არ მჯერა ქვეყნის მომავლისა, რომლის სიგრძეც ერთი ბოლოდან მეორემდე 500 კილომეტრს არ აღემატება და რომლის ერთ ბოლოშიც დედოფლისწყაროა, ხოლო მეორეში - ბათუმი. ნუღარ ამახსნევინებ, უკვე დავწერე რატომაც.**

**არ მჯერა ქვეყნის მომავლისა, სადაც ბიძინა ივანიშვილს „რუს ოლიგარქს" უწოდებენ, ხოლო გრიგოლ ვაშაძეს — „ქართველ პოლიტიკოსს".**

**არ მჯერა ქვეყნის მომავლისა, სადაც „მოდელირებული ქრონიკა" კეთდება, სადაც დევნილების რაოდენობა ფეხბურთის ფანების რაოდენობაზე მეტია, სადაც ცხოვრება შეუძლებელია, ხოლო საზღვარგარეთ წასვლა — თითქმის შეუძლებელი, სადაც ნაგვის გადასახადს დახარჯული ელექტროენერგიის მიხედვით იხდიან, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი ძვირდება, სადაც უმუშევრობაა გამეფებული, ხალხი კი მაინცდამაინც ბურჯანაძის ან გაჩეჩილაძეების, ან კიდევ ვინმეს დაძახებას ელოდება, რომ ქუჩაში გამოვიდეს და კუდით ქვა ასროლინოს ასეთ ხელისუფლებას!**

**ჩამრეცხე, ბატონო პრეზიდენტო, იმიტომ, რომ შენთან ერთად არაფრის ცვლილების პერსპექტივა არ არსებობს, შენი ცვლილების პერსპექტივა კი — უფრო ბუნდოვანია.**

**ჩამრეცხე, იმიტომ, რომ , როგორც ამბობენ ხოლმე - იქ მკვდრებს ვაკლივარ და აქ ცოცხლებს! შენ მიერ ჩარეცხილებმა სხვაგან მაინც იპოვეს გასაქცევი და საარსებო წყარო, ჩემგან განსხვავებით.**

### მშვიდობით, ბატონო პრეზიდენტო!

შენი წასვლის დრო ახლოვდება-მეთქი, ზემოთ დავწერე.

არ გეგონოს, ბატონო პრეზიდენტო, რომ შენს დამხობასა და გადაგდებას ვგულისხმობდე — მე თუ რამე შემიძლია ან თუ მომავალში შემეძლება რამე, პირადად მე ვიქნები პირველი წინააღმდეგი შენი ვადაზე ადრე და არაკონსტიტუციური მეთოდებით წასვლისა!

შენ, შენს წინამორბედთაგან განსხვავებით, არ გექნება საშუალება, რომ თავი იმართლო: არ მაცადეთ, თორემ ყველაფერს გავაკეთებდიო.

არც წამებულისა და მსხვერპლის გვირგვინს გარგუნებს ვინმე — შენ შენი მეორე ვადა უნდა დაასრულო.

აღარ მინდა რევოლუცია და ქუჩის აქციები! მინდა, საქართველოში ოდესმე დადგეს დრო, როცა კარიერის გაკეთებისთვის, საკუთარი თავის რეალიზებისათვის, ფულის შოვნისა და ოჯახის შენახვისათვის პარტიული კუთვნილება და ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება კი არა, პროფესიონალიზმი და მონდომება იქნება საჭირო! პოსტრევოლუციურ ქვეყანაში კი ეს შეუძლებელია.

ყველაფრის მიუხედავად, პატივისცემით
**ლექსო ლეკიაშვილი,**
leksport.blogspot.com.

**სულიერება**

# საზოგადოება და ეკლესია

**თეზისები მოხსენებისა, რომელიც წაკითხულ იქნა საქართველოს ფილოსოფიის აკადემიის მიერ მოწყობილ სემინარზე**

პატივცემულო საზოგადოება,

სანამ თქვენთან მოვიდოდი, ბევრი ვიფიქრე არჩეულ საკითხზე, კერძოდ, რომელი ასპექტით წარმომედგინა იგი: საზოგადოების როლი საეკლესიო ცხოვრებაში, თუ პირიქით, ეკლესიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბოლოს, ამოსავალ დებულებად მივიჩნიე ცნობილი ხალხური გამონათქვამი: რაც ბერი, ის ერი, — და ამიტომ ჩემს მოსაზრებებსაც ამ იერარქიული თანმიმდევრობით წარმოგიდგენთ.

პირველ ყოვლისა, გმადლობთ, რომ დრო გამოყავით ჩემს მოსასმენად და იმ ურთიერთობის აღსადგენად, რომელიც 2006 წელს ე. წ. საუნივერსიტეტო რეფორმებმა შეწყვიტა. მით უმეტეს, დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად მიხდება ურთიერთობა აუდიტორიასთან, რომელსაც განსხვავებული აზრის მიმართ სულგრძელობის გამოჩენა შეუძლია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სწორედ ამ უნივერსიტეტში გამართულ ერთ-ერთ კონფერენციაზე, თუ არ ვცდები 2004 წელს, ჩემ მიერ ილია ჭავჭავაძის ცნობილი ტრიადის (მამული, ენა, სარწმუნოება) ხსენებამ, შემდგომში გამინისტრებული გია ნოდიას იმგვარი პროტესტი გამოიწვია, რომ აწ განსვენებული სხდომის თავმჯდომარე იძულებული გახდა, ჩემი მოხსენების შესამოკლებლად რეგლამენტი გამოეყენებინა.

ვფიქრობ, რეფორმატორთა სახელით მოსული პარტიის მიმართ ნდობაცა და რიდიც წარსულს ჩაბარდა და ჩვენ ახლიდან ვიწყებთ იმ ეროვნულ-სარწმუნოებრივი შეგნების აღორძინებას, რომელმაც ქართველი ერი ფეხზე უნდა დააყენოს. ამისთვის კი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ეკლესიის მნიშვნელობის განსაზღვრა ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში, რომელშიც გლობალიზმის გრიგალი ჩვენს ტრადიციებსა და ზნეობას ძირიანად ამოხვრას უქადის.

ისევ საქართველოს თანამდევ უკვდავ სულს დავუგდოთ ყური: **„ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც... ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება“.** — ე. ი. წყაროს ჩვენი არსებობისა ქრისტიანობა აღმოაცენებს, იმით საზრდოობს ჩვენი სულიცა და ხორციც, გონიცა და პატიოსნებაც. მაშასადამე, პირველი შესამეცნებელი საგანი გონებრივად მუშაკთათვის ქრისტიანული მოძღვრება უნდა იყოს. ყველა ცოდნისა და პროფესიის შეძენას წინ იგი უნდა უძღოდეს. ვერანაირი ფილოსოფიური მიმართულება მის სიბრძნეს ვერ გაუტოლდება, ვინაიდან იგი თვით ღმრთის სიბრძნის, იესო ქრისტეს მიერ არის მოცემული. წმ. იოანე დამასკელის ერთ-ერთი განსაზღვრებით: **„ფილოსოფოსობაჲ არს სიყუარული სიბრძნისაჲ, ხოლო სიბრძნე ჭეშმარიტი ღმერთი არს“.**

რადგან ჩვენ სიბრძნისმოყვარე საზოგადოების წინაშე გამოვდივართ, ვფიქრობთ, მიუღებელი არ იქნება მოწოდება თანამშრომლობისაკენ, რათა ჩვენი ფილოსოფიური ცოდნა ქრისტიანული მოძღვრების საფუძლიან შესწავლას მოვახმაროთ და რეალურად შევძლოთ არა მარტო ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხის გაცნობიერება, არამედ — პასუხის გაცემაც მაცხოვრის მიერ კაცობრიობისათვის დასმულ ისტორიულ შეკითხვაზე: „რაჲ თქჳან კაცთა ჩემთჳს ყოფაჲ?“ (მრკ. 8,27). — სწორედ ამ კითხვაზე გაცემული პასუხი განსაზღვრავს ადამიანის კონფესიურ კუთვნილებას, ან საერთოდ ათეისტად წარმოგვიდგენს მას.

ჟურნალ „სამი საუნჯის“ ბოლო ნომერში დაიბეჭდა პროფ. გვანცა კოპლატაძის სტატია „ინტელიგენცია და რელიგია“, რომელშიც, ჩვენი აზრით, მოცემულია ბრძნული ანალიზი ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიისა და გამოთქმულია წუხილი იმის გამო, რომ ინტელიგენციამ, მიუხედავად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დიდი ძალისხმევისა, გაეკლესიურება ვერ შეძლო. მართალია, მას აქვს პატივისცემა და მოკრძალება ეკლესიის მიმართ, მაგრამ იგი მასში გაერთიანებული არ არის. ხოლო იწოდებოდე ქრისტიანად, ეს ნიშნავს — აღიარებდე მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას,



მონაწილეობდე საეკლესიო საიდუმლოებებში და ცხოვრობდე ეკლესიური წესით.

ორ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, და სულ კატაკლიზმებით ვცხოვრობთ. ამ პერიოდის განმავლობაში, ქართველი ერი ვერც რელიგიური და ვერც მორალური თვალსაზრისით სახელმწიფოებრივ მოვლენებს ძირითადად სწორ შეფასებას ვერ აძლევდა. და რაც მთავარია, მას არც ძალა ეყო შეცდომათა აღიარებისთვის.

**ბოლოს და ბოლოს ჩვენც გავხდებით წინაპრები მომავალი თაობისა. ჩვენს მამა-პაპაზე სიამაყით კი ვამბობთ: „თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო“, მაგრამ ამ ისტორიულ ჟამზე პასუხს ხომ თანამედროვენი ვაგებთ; როცა მამული დაქსაქსულია, ტერიტორიები — დაკარგული, ენა — შებღალული, სარწმუნოება — შეურაცხყოფილი, ზნეობა — დაცემული, განათლება — დაკნინებული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა კი — გაქარწყლებული, — ჩვენ რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?**

ვაი, რომ სხვაზე, თუნდაც ხელისუფლებაზე, გადაბრალება არაფერს გვიშველის. მაინცდამაინც მიტინგებისა და რევოლუციების მოწყობა არ არის საჭირო. ინტელიგენციას თავისი ბრძოლის ასპარეზი აქვს. საზოგადოების ამ გონიერ ნაწილს ეკისრება აზრის წარმართვის პასუხისმგებლობა, როგორც მორალური, ისე რელიგიური თვალსაზრისით. მაგალითისთვის ვიტყვი, ინტელიგენციას რომ შესწევდეს ძალა ეკლესიის წიაღში გაერთიანებისა, ქართვლის დედის, ქართული სუფრის ან ქართველთა დიდი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის შეურაცხმყოფელნი სირცხვილით საზოგადოებაში თავს ვერ გამოყოფდნენ. ახლა კი ამ პერსონებს საპასუხისმგებლო პოსტები აბარიათ.

**ვაება იმაზე, რომ დღეს საქართველოში ეროვნული საქმე არ ფინანსდება, საკმარისი არ არის. დავუკვირდეთ, საზოგადოება მომზადებული ხვდება ყველა იმ ამორალურ წამოწყებას (ბუდა-ბარები, სტრიპტიზ-ბარები, კაზინოები, სერიალები, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა), რომელთაც ხელისუფლება და მედია სთავაზობს. ყოველ მოქალაქეს ბრძოლა ჯერ მოსაგები აქვს საკუთარ თავთან, რომ შემდეგ საზოგადოებისთვის სასარგებლო ბრძოლაში ჩაბმა შეძლოს. ცნობილი ფაქტია, რომ დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული პარტიები თუ ცალკეული ლიდერები უმეტესწილად ხალხში პატივისცემით არ სარგებლობენ, რადგან ძნელია მერკანტილური მიზნების დაფარვა, მას სიტყვა და საქმე მალე გამოაჩენს. ამასთან, მიუხედავად წარსულში დაშვებული შეცდომებისა და ჩადენილი ცოდვებისა, მათ აღიარებას თაკილობენ.** არადა, ბიბლიური სიბრძნე სხვაგვარია: „მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი“, რაც იმას ნიშნავს, რომ კეთილი საქმის კეთებამდე ჯერ ბოროტებისაგან უნდა გათავისუფლდე, ანუ თავდაპირველად ცოდვები უნდა მოინანიო.

რა თქმა უნდა, გონების სიამოვნებისთვის უფრო მისაღები იქნებოდა რაიმე განყენებულ ფილოსოფიურ ან თეოლოგიურ საკითხზე მშვიდად საუბარი, მაგრამ დრო აღარ ითმენს, — ახალგაზრდა თაობა, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და თვით ჩვენი მიწა-წყალი ხელიდან გვეცლება.

ადრე ნათქვამს გავიმეორებთ, შეიძლება ვინმეს ჰგონია, რომ განზე დგომა, როცა მოვლენებზე ზეგავლენას ვერ ახდენ, მორალურად მართებულია. ზოგადად, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ თუ ეს მოვლენა არა პიროვნულ, არამედ საზოგადოებრივ საქმეს წარმოადგენს და თანამოქალაქეთა ღირსებისა და ეროვნული ტრადიციების დასაცავად გაერთიანებას საჭიროებს, მაშინ მასში არმონაწილეობა საქვეყნო საქმისადმი გულგრილობას ნიშნავს. ეს არ არის ქრისტიანული მორალი, რადგან საქვეყნო საქმიდან განდგომა ბრძოლის ველიდან გაპარვას ნიშნავს და მას ერთადერთი შესაფერისი სახელი — ღალატი — ჰქვია.

მართალია, საკუთარი ქვეყნის დაცვა და კანონმორჩილება ქრისტიანის მოვალეობაა, მაგრამ მას არა მარტო სულის სავნებელ ბრძანებათა მიმართ დაუმორჩილებლობა, არამედ მათგან სხვა თანამემამულეთა დასაცავად ბრძოლაც მართებს. ამიტომ მე დაუფარავად მოგახსენებთ ერთ ისეთ პრობლემაზე, რომლის გადასაჭრელად ჯერჯერობით არავითარი ღონისძიება არ გატარებულა, მაგრამ დრო უკვე აღარ ითმენს.

**მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტთა მიერ არაერთგზის გამოითქვა აზრი ხატის „შენ ხარ ვენახი“ არაკანონიკურობის შესახებ, მან თითქმის ყველა ტაძარში დაიდო ბინა. მასზე გამოსახულია ღმრთისმშობელი ყრმით, მაგრამ ხატწერის იმ კანონიკის დარღვევით, რომ მაცხოვარი არა მაკურთხეველი მარჯვენით, არამედ მარცხენით არის გამოსახული. ხატის შექმნის იდეის ავტორის, ანუ შემკვეთის, აზრით, ზ. გამსახურდიას ქვეყნიდან გაძევების გამო, ქართველი ერი ღირსი არ არის მაცხოვრის მარჯვენით კურთხევისა.**

**ყოფილი პრეზიდენტის დიდი თაყვანისმცემელი იყო აგრეთვე უკვე ბევრისთვის ცნობილი ბერი გაბრიელ ურგებაძე, რომლის სურათები და მასზე გამოცემული ბროშურები, — „შენ ხარ ვენახის“ მსგავსად, საეკლესიო მაღაზიებში დაუბრკოლებლად ვრცელდება. მხოლოდ მოკლედ შევნიშნავთ, რომ არათუ ბერის, არამედ რიგითი მორწმუნის ზვიადისტობაც კი ანომალიური მოვლენაა. ჩვენ გამოვდივართ არა მარტო ვინმეს გაკერპების, არამედ იმ სარწმუნოებრივ სწავლებათა დარღვევის წინააღმდეგ, რაც ზ. გამსახურდიას ნაწერებში ცოტა არ არის.**

**პირველ შემთხვევაში ამახინჯებენ ღმრთისმშობლის ხატის საღმრთისმეტყველო შინაარსს, ხოლო მეორე შემთხვევაში წმინდანის მანტიით მოსავენ პირს, რომელიც არც თავისი ცხოვრებით და, მით უმეტეს, არც ქრისტიანული მოძღვრების ცოდნით მის თაყვანისმცემელთაგან მინიჭებულ რანგს არ შეესაბამება. არსი ამ პრობლემისა მარტივად დაიყვანება მის გამომწვევთა სურვილზე; ა) ხატწერის კანონთა დარღვევით შერყვნან სიწმინდე საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში დაცული ხატწერით გადმოცემული ღმრთისმეტყველებისა; ბ) ბერი გაბრიელის განდიდებით გზა მოუმზადონ ზ. გამსახურდიას კანონიზაციას და ეკლესიაში განხეთქილება შეიტანონ.**

ჩემი მოხსენების შემდეგ ზოგიერთმა გამოხატა დაუსაბუთებელი და ცილისმწამებლური პრეტენზიები წამოყენებულ საკითხთა მიმართ. მიზანიც წინამდებარე თეზისთა გამოქვეყნებისა, არის ის, რომ სუბიექტურ მითქმა-მოთქმას ზღვარი დაედოს.

**გრიგოლ რუხაძე.**

**საგანგაშო სიგნალი**

# შეწერილი ხმები

## ანუ სანამ უნდა აშინებდნენ ადამიანებს სამსახურის დაკარგვით?

**საჯარო სტრუქტურებში დასაქმებულ ადამიანებს საარჩევნოდ 30-50 ხმის მოგროვებას ავალებენ. ამის შესახებ Presage.tv-სთვის ცნობილი თავად ამ ადამიანებისგან გახდა. თუმცა, ცხადია, მათ ვინაობას მათივე უსაფრთხოების გამო ვერ დავასახელებთ.**

ცოტა ხნის წინათ ვწერდით, თუ რა მეთოდებით აიძულებენ პედაგოგებს ნაციონალებისთვის ხმის მიცემას. საუბარია იმაზე, რომ მასწავლებლებმა უნდა გადაიღონ არა მათ მიერ შემოხაზული 5 ნომრის ფოტო, არამედ პროცესის ვიდეო, თუ როგორ ხაზავენ და შემდეგ ეს იმ აქტივისტ ქალებს უნდა აჩვენონ, რომლებიც საარჩევნო უბნის ეზოებში იდგებიან.

ამ პროცესის დაკვირვება შეუძლებელი იქნება, რადგან ადამიანს ვერც კაბინაში შეყვები და ვერც შემდეგ იქიდან გამოსულს ეტყვი, შენი ტელეფონი მაჩვენე, რა გაქვს გადაღებული.

ცხადია, კარგად არის მოფიქრებული. თუმცა, როგორც ჩანს, ნაციონალების ზრუნვა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და ყველა სტრუქტურაში სხვადასხვა მეთოდი მუშავდება.

როგორც Presage.tv-სთან საუბრისას საჯარო უწყების რამდენიმე თანამშრომელმა, რომლებიც სხვადასხვა უწყებაში მუშაობენ და თანაც ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ, გვითხრეს, ისინი რამდენიმე დღის წინ მათმა უფროსებმა დაიბარეს და უთხრეს, რომ გარანტირებული ხმების მოგროვება უნდა შეძლონ.

გარანტირებულ ხმებში კი ის იგულისხმება, რომ მათ უნდა მიიტანონ სია, სადაც იქნება მითითებული ადამიანის პირადი მონაცემები ტელეფონისა და პირადი ნომრების ჩათვლით. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მათ ასეთი 30-50 ადამიანის პოვნას თხოვენ, გააჩნია მათ თანამდებობას და მდგომარეობას. ასევე იმას, თუ რომელ უწყებაში მუშაობს.

თუკი იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, ცოტა არ იყოს, კომიკური ხდება ეს დავალება, თუ ამ ხალხმა ეს „გარანტირებული ხმები“ სად უნდა იპოვონ.

მთავარი კი ის არის, რომ დავალება გაცემულია და, ცხადია, მის შესრულებას რაღაც დონეზე აუცილებლად მოითხოვენ. თითო ადამიანს რეალურად იმის მეათედიც რომ მოსთხოვონ, რა დავალებაც აქვთ გაცემული, ადვილი წარმოსადგენია, არჩევნები რა შედეგით შეიძლება დასრულდეს. ამას ის გარანტირებული ხმებიც დაემატება, რაც ხელისუფლებას, როგორც წესი, ძალოვან უწყებებში აქვს.

რა თქმა უნდა, თითოეული ხმის გადამოწმება ვერ მოხდება. მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი არის ის, რომ ადამიანები სამსახურების დაკარგვის შიშით იმდენად არიან დაშინებულნი, რომ ამ ხმებს, რეალურად, გადამოწმებაც კი არ დასჭირდება.

გამოსავალი კი, ალბათ, ის შეიძლება იყოს, რომ ამ ადამიანებმა მიმართონ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მათ მოახერხონ ამ ფაქტების დასკვნებში ასახვაც და მათი დახმარებაც. ყოველი ასეთი ფაქტის დასკვნაში მოხვედრა კი გარკვეულწილად გარანტიაა იმისა, რომ არჩევნები არ გაყალბდეს და შემდეგ მათზე უფრო მეტი ზეწოლა არ განხორციელდეს.

**თეონა ხარაბაძე**

№89. სამშაბათი, 15 მაისი, 2012 წელი.

SOS!

# ქუთაისელები უკვე მართლაც იცინიან, პრეზიდენტო!

## პარლამენტის აშენების შემდეგ ქუთაისში მეტი მწვადი და ეკალა გაიყიდება



**რა განწყობა აქვთ ქუთაისელებს პარლამენტის დაუმთავრებელი შენობის სახელდახელოდ მოწყობილ ერთ-ერთ დარბაზში პომპეზური სხდომის წინ და როგორ შეხვდებიან ისინი 26 მაისს დედაქალაქიდან ჩასულ მოზეიმე დეპუტატებს?! ამის შესახებ Presage.tv ქუთათურებს ესაუბრა.**

**პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის ლიდერი გოგი წულაია აცხადებს, რომ პარლამენტის პომპეზურად გახსნას ქუთაისელები იუმორით ხვდებიან.**

**„ქუთაისი არასდროს უჩიოდა გამჭრიახი და ჭკვიანი ადამიანების ნაკლებობას. საბედნიეროდ, დღესაც ასეა. ვინც რეალურად უყურებს სიტუაციას, ხვდება, რომ ეს პარლამენტი მხოლოდ და მხოლოდ პიარისთვისაა და ქუთაისის ეკონომიკურ აღმავლობას მხოლოდ იმათ შეეხიდება, რომ რესტორნებში რამდენიმე კილოთი მეტი ღორისა და ხბოს მწვადი, ასევე, ეკალა გაიყიდება. თუ იყიდებოდა 10 კილო, გაიყიდება 15 კილო — მეტი არაფერი. ეს კი არავითარ დადებით სტიმულს ჩვენი ქალაქის ეკონომიკას არ მისცემს და, საერთოდ, თუკი პარლამენტები აძლევს სტიმულსა და განვითარებას ქალაქებს, მაშინ პარლამენტის შენობა ხუთი წლის შემდეგ ქუთაისიდან ვანში გადავიტანოთ, მერე — სამტრედიაში, მერე — წალენჯიხაში და ვატაროთ ასე პარლამენტები და გადავიტანოთ ქალაქები",** — აცხადებს გოგი წულაია.

მისივე თქმით, არის გამონაკლისიც და ერთეულ ქუთაისელებს პარლამენტის მათ ქალაქში გახსნა უხარიათ. რეალურად კი პარლამენტის აშენებამ ქუთათურებს დისკომფორტის მეტი, ჯერჯერობით, არაფერი მოუტანა — გადათხრილია გზები, გართულებულია მისვლა-მოსვლა.

გოგი წულაიას თქმით, **„მაგ პარლამენტისგან სხვა სიკეთე არაფერი გვაქვს. არც პერსპექტივაში იქნება, ამას ათვითცნობიერებს ქალაქის უდიდესი ნაწილი. ალბათ, იცით, რომ ქუთაისში მიშას მიერ დიდი ზარ-ზეიმით გახსნილ თეატრში, საიდანაც სიცილით გამოვიდა და ჩვენი ტერიტორია გადაულოცა აფხაზეთს, მაგი საქართველო არასდროს არ იყოო, რამდენიმე დღის წინ, უშუალოდ სპექტაკლის დროს, წყალი თქეშით ჩადიოდა და ხელახლა ხურავდნენ. ქუთაისელები იცინოდნენ. ლუდოვიკოზე როა ნათქვამი, ლუდოვიკომ მარილი გააძვირა და იკითხა, რა ხდება? ხალხი რას ამბობსო? გმინავს ხალხიო, - უპასუხეს. მერე კიდევ გააძვირა, რა ხდებაო? ისევ — გმინავს ხალხიო; კიდევ გაუძვირა და ბოლოს რომ იკითხა, რა ხდებაო? იცინის ხალხიო, — მიუგეს. — ახლა კი უნდა შევჩერდეთო, თორემ გლახადაა საქმეო, — უთქვამს. მე მგონი, ეს დრო დადგა ახლაც, ამ ხელისუფლებისთვის, უნდა შეჩერდნენ, რადგან ქუთაისელები უკვე მართლა იცინიან".**

რაც შეეხება პარლამენტის დაჩქარებულ მშენებლობას, მართალია, გოგი წულაია მშენებლობის საკითხში ექსპერტობას ვერ დაიჩემებს, მაგრამ შთაბეჭდილება რჩება, რომ რა ხარისხითაც პარლამენტს აშენებენ, იქ მისვლა საშიში იქნება.

**„მიუხედავად იმისა, რომ ეს პარლამენტარები ჩემს დიდ სიმპათიას არ იმსახურებენ, უფალს შევთხოვ, ახლადგახსნილ შენობაში რაიმე უბედურება არ მოხდეს".**

მისივე ინფორმაციით, მშენებლობაზე ძირითადად საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩაყვანილი ადამიანები მუშაობენ, 10 % თუ იქნება ქუთაისელი. თუმცა, გოგი წულაია ამაში დიდ ტრაგედიას ვერ ხედავს და წინაალმდეგი არ არის, ქუთაისში თელაველმა იმუშაოს, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ მშენებლობაზე უცხოელებიც არიან დასაქმებულნი და მათ გაცილებით მაღალი ანაზღაურება აქვთ. მაგალითად, მინის გაკვრაზე ესპანელები და თურქები მუშაობენ და ისინი უკეთეს პირობებში არიან.

გოგი წულაიას ცნობით, ქუთაისური პარლამენტის კონსტრუქცია უცხოელ არქიტექტორს ეკუთვნის, სავარაუდოდ, — ესპანელ არქიტექტორს, რომელსაც მანამდე თბილისში უმუშავია.

ყველაზე უცნაურად გოგი წულაიას ის ფაქტი მიაჩნია, რომ პარლამენტის მშენებლობაზე პრობაციონერები არიან დასაქმებულნი, რომლებიც წინასწარი გასაუბრების შემდეგ უფასო მშენებლობაზე დაიყოლიეს, რის სანაცვლოდაც პრობაციის დღეებისა და თვეების შემცირებას დაჰპირდნენ.

**„ეს მონათმფლობელობის დაბრუნებაა, მეტი არაფერი. ასეთ ადამიანს რომ ამუშავებ, რომელიც არ არის სპეციალისტი, რა ხალისითა და გულით იმუშავებს?! ამ მშენებლობაზე ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს, პირობები კი ძალიან ცუდია, დილიდან ღამემდე ამუშავებენ, 12-საათიანი სამუშაო დღეა, ესეც მონათმფლობელობის გადმონაშთია. გააჩნია, ვინ რა სამუშაოს ასრულებს, სხვადასხვანაირი ხელფასებია. მიწის მოპირკეთებაზე და მძიმე სამუშაოებზე დაბალი ხელფასებია, კაფელ-მეთლახის გაკვრისთვის, ელექტროობის გაყვანისთვის კი 700-800 ლარამდე იხდიან".**

ამასთან, გოგი წულაიას თქმით, ქუთაისელების განწყობას ისიც ამძიმებს, რომ სწორედ ამ პარლამენტის მშენებლობამ შეიწირა მათი თანამემამულეები — დედა-შვილი ჯინჭარაძეები.

**„იმ ადგილთან მიმართებით, სადაც დედა-შვილი ჯინჭარაძეები დაიღუპნენ, ქუთაისელებს ძალიან ცუდი რეაქცია აქვთ. ვისთანაც კი მაქვს ურთიერთობა, მათ 99 %-ს ნეგატიური განწყობა აქვს და მარაზმად თვლიან იმ ადგილზე აღლუმის ჩატარებას, სადაც ასეთი ტრაგედია მოხდა. აღლუმისა და დაშინების მოწყობა რისთვის სჭირდებათ?! აღლუმი ხომ ძალის დემონსტრირებაა?! ძალას კი ვის უჩვენებენ მაგენი?! რუსს მაგათი არ ეშინია, თურქს, ირანელს, აზერბაიჯანელს თუ სომეხს და ახლა მე მაშინებენ?"** — კითხულობს გოგი წულაია.

Presage.tv წარმოშობით ქუთაისელს, ასოციაცია „სამშენებლო მასალები და მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე" ხელმძღვანელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს ანზორ საკანდელიძეს დაუკავშირდა, რომელმაც მშობლიურ ქუთაისში ჩასვლისას პარლამენტის მშენებარე ტერიტორიას მიაშურა, თუმცა მალევე დარწმუნდა, რომ იქ ყველაფერი გასაიდუმლოებულია.

**„კაციშვილმა არ იცის, როგორ აშენებენ, რას აშენებენ. ვისაც ვკითხე, პასუხი ვერ მივიღე. არ იციან, პროექტის საბოლოო სახე რა იქნება, არ იციან ხარჯთაღრიცხვის შესახებ, ყველაფერი ძალიან ქაოსურად მიმდინარეობს და არ ვიცი, 26-სთვის რას აპირებენ, ეს თარიღი კი უკვე კარზეა მომდგარი. ითქვა, რომ ერთი დარბაზის გაკეთება უნდა მოესწროს, მაგრამ რა აუცილებელია ასეთი სიჩქარე და მაინცდამაინც 26 მაისს დარბაზის გახსნა?! საერთოდ, რა საჭიროა პარლამენტის ქუთაისში გადატანა? მე თავად ქუთაისელი ვარ, თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე გახლავართ და დასაქმების შესახებ არაერთი პროექტი მაქვს წარდგენილი ხელისუფლებაში, მაგრამ 1998 წლიდან არავინ რეაგირებას არ ახდენს",** — აცხადებს ანზორ საკანდელიძე.

მისი თქმით, იგი კაკო ბოზოხიძესთან ერთად, ზვიად გამსახურდიასდროინდელი პარლამენტის დეპუტატი გახლდათ, ახლოსაც იყო კაკო ბოზოხიძესთან, მაგრამ პირველად რომ გაიგო ბოზოხიძის მიერ ამ იდეის შესახებ, ეგონა, კაკო ხუმრობდა. როცა ამ ყველაფერმა სერიოზული სახე მიიღო, ანზორ საკანდელიძემ პრეზიდენტ სააკაშვილს წერილი მისწერა, თუ ქუთაისის დახმარება გსურთ, ხალხის დასაქმება მცირე მეწარმეების გარეშე წარმოუდგენელია.

**„სხვათა შორის, 1998 წელს ვანო მერაბიშვილის ინიციატივით (მაშინ ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარე იყო), დაარსდა მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი, რაც მცირე მეწარმეობის ერთადერთი სტრუქტურა იყო საქართველოში, თუმცა დღესდღეობით არ არსებობს ქვეყანა, სადაც მცირე მეწარმეებს არ აქცევდნენ ყურადღებას. იმავეს ვერ ვიტყვით საქართველოზე. პრეზიდენტს მივწერე, მოდით, პარლამენტს კი ნუ შეცვლით, არამედ ამერიკული მოდელის შესაბამისად, მცირე საწარმოთა ცენტრი აღვადგინოთ და, კი ბატონო, იყოს ქუთაისში-თქო. დღეს თუ ხვალ ეს მაინც გასაკეთებელია... ახლა არ ვიცი, პარლამენტს რა ფუნქცია უნდა მიეცეს, როგორ უნდა იფუნქციონიროს ნახევრად თბილისში, ნახევრად ქუთაისში?!"** — კითხულობს ანზორ საკანდელიძე და სამშენებლო თვალსაზრისითაც, გაურკვევლობაშია, რადგან ვერსად მიაკვლია ქუთაისის პარლამენტის გასაიდუმლოებულ პროექტს. ვერც მშენებლებისგან მოიპოვა ინფორმაცია და დაასკვნა, ეტყობა, მშენებლებიც დაშინებულნი არიან და ამიტომაც დუმილს ამჯობინებენ.

**„ქუთაისში ყოფნისას მშენებარე ნაგებობის მახლობლად მანქანა გავაჩერე და გადავიხედე, ახლოს არ გიშვებენ. მშენებელი კაცი ვარ და, ვიზუალურად რაც ვნახე, შემიძლია ვთქვა, რომ მშენებლობის დამთავრება ასე არ ხდება. ჯერ კარკასი არაა დასრულებული, შეკრული და ამას, მინიმუმ, ერთი წლის სამუშაოები სჭირდება. მანამდე კი პროექტი უნდა არსებობდეს და ამ პროექტმა უნდა გაიაროს ექსპერტიზა. რომელი მშენებელი აშენებს ამ პარლამენტს, უცნობია, ვისი პროექტია - ესეც უცნობია, სად დამუშავდა, არ ვიცით. ტიპური პროექტი რომ არაა, უკვე ეტყობა.**

**ისეთი მოხაზულობა აქვს, რომ სეისმომედეგობის თვალსაზრისით, საშიშია.**

**1990 წლის პირველი იანვრიდან სეისმოსაშიშროებასთან ერთად, მთელ საქართველოში სეისმომედეგობა ერთი ბალითაა გაზრდილი. მაგალითად, ადრე თუ იყო 7 ბალზე გათვლილი, ახლა გახდა 8-ბალიანი. როგორც თბილისში, ისე ქუთაისში სეისმომედეგობა გაზრდილია. რამდენად არის ეს პროექტი კონსტრუქციულად სწორად შედგენილი და მასში სეისმომედეგობის ღონისძიებები როგორ არის ჩადებული და შემდეგ ეს ყველაფერი ადგილზე მშენებლობაში როგორ არის გადატანილი, არ ვიცით",** — აღნიშნა ანზორ საკანდელიძემ.

მანვე ქუთაისის პარლამენტის მშენებარე ნაგებობის ზერელე დათვალიერებისას ჟანგიანი არმატურა შენიშნა, რის წინააღმდეგაც იგი წლების მანძილზე იბრძოდა, ვინაიდან ჟანგიანი ლითონი და ჟანგიანი არმატურა ბეტონში მოხვედრის შემდეგაც აგრძელებს კოროზიას, რის გამოც შენობის სეისმომედეგობა მცირდება.

**„არა მარტო ქუთაისში, თბილისშიც ჟანგიან არმატურებს იყენებენ. აგერ, პროკურატურის შენობას რომ აშენებენ, ისეთი ჟანგიანი არმატურები ვნახე, გამიკვირდა. იაფი ჯდება ჟანგიანი არმატურა და ამიტომაც შემოაქვთ საქართველოში. რუსეთმა გადაკეტა ეს გზა და, ერთი პერიოდი, უკრაინიდან რუსეთში არმატურისა და სამშენებლო ლითონის შეტანა საერთოდ აკრძალეს. ალბათ, ყველა ეს არმატურა საქართველოსკენ წამოვიდა, ჩვენთან საბაჟოზე არც ამოწმებენ. მშენებლობის ბუმი რომ იყო, მაშინ ვყვიროდი, შეამოწმეთ, საშიშროებაა. ერთი მილიონი ტონა რუსეთმა არ მიიღო და სად წავიდოდა?! შეიძლება, ჩვენს მიერ აშენებულ კედლებშია და გვაფრქვევს რადიაციას. მეორე უბედურებაა, რომ შემოწმების აპარატურა არ გვაქვს და არც ვამოწმებთ".**

რაც შეეხება ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის გამოცდილ სპეციალისტებს, ანზორ საკანდელიძის ინფორმაციით, ყველა მათგანს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ამ ნაუცბათევ მშენებლობასთან დაკავშირებით. თუმცა ამ თემაზე საჯაროდ საუბარს ერიდებიან. საკანდელიძის თქმით, ამ საქმეში გამოცდილი ქართველი მშენებლები ჩართულნი არ არიან. ქუთაისში არსებული სამშენებლო ფირმებიდან კი ინფორმაციის გატანა ჭირს.

**„აეროპორტის ამბავი გაიხსენეთ, ნაუცბათევად აშენებისას, რა თქმა უნდა, ხარვეზები გაიპარება. მშენებლობას თავისი ტექნოლოგიური თანმიმდევრობა აქვს. ბეტონმა თავის საპროექტო ვადას რომ მიაღწიოს და გამყარდეს, 28 დღე სჭირდება. მანამდე რომ დატვირთო, იმ შენობას ბზარები გაუჩნდება. შეიძლება, დღეს და ხვალ ეს ბზარები არ გამოჩნდეს, მაგრამ შემდეგ აუცილებლად გამოვლინდება. აჩქარება ყველა საქმეში და მით უფრო, სამშენებლო საქმეში არ ივარგებს. ობიექტი უნდა ჩაბარდეს და მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს. ამის გარეშე შენობაში შესვლა არ შეიძლება. ალბათ, ჩვენს დეპუტატებს ასე უცაბედად საფრთხე არ ელით (ყოველ შემთხვევაში, მათთვის გამიზნულ დარბაზში), მაგრამ შენობა ნელ-ნელა დაიბზარება,"** — აცხადებს სპეციალისტი.

**მანანა ნოზაძე**

ინფორმაცია

### დიმიტრი გვინდაძე - ქუთაისში პარლამენტის მშენებლობა ბიუჯეტს 133 700 000 ლარი დაუჯდა



**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ განუცხადა. მისი თქმით, პარლამენტის მშენებლობისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრები სრულიად გამჭვირვალეა. მინისტრის ინფორმაციით, საკანონმდებლო ორგანოს მთელი კომპლექტის მშენებლობა რეგიონალური ფონდიდან ფინანსდება.**

**მისივე ინფორმაციით, 2009 წელს მშენებლობისთვის 5 000 000 ლარი დაიხარჯა, 2010 წელს — 68 000 000 ლარი, 2011 წელს კი — 60 000 000 ლარი. მშენებლობის დასრულება 2012 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.**

ინტერპრესი

კერძო აზრი

# პუტინის ახალი ერა, ანუ, მიხო, „მახო მოსულა"...

გასულ საუკუნეში რუსეთის ჯერ თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია, ხოლო შემდეგ ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება რომ საერთაშორისო შეთქმულების შედეგი იყო იმდროინდელი უძლიერესი და უდიდესი, რუსული მართლმადიდებლური მონარქიული იმპერიის წინააღმდეგ და რუსეთის დაშლის პირველი სცენარიც რომ მაშინ დაიწერა, ამაზე სერიოზულ, ისტორიულ-ანალიტიკურ წრეებში, არ დავობენ.

სამოქალაქო ომის ქაოსი, აი, მთავარი ინსტრუმენტი რუსეთის დაშლისა, რომლის ინსპირირებასაც თვითონ ბოლშევიკები ცდილობდნენ. ეს რომ ასე იყო, ამაში ამას წინათ რუსეთის ტელევიზიით გასული დოკუმენტური ფილმიდანაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ფილმიდან, რომელიც უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ (აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) საიდუმლო დოკუმენტებზე დაყრდნობით არის შექმნილი, რომლის მთავარი გმირები ვლადიმერ ილიჩი და მისი უსაყვარლესი ფავორიტი ლევ (ლეიბა) დავიდოვიჩ ტროცკი (ბრონშტეინი) არიან, რომლებიც, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების სპეცსამსახურებთან, პირდაპირ თუ ირიბად თანამშრომლობდნენ რევოლუციამდე. ხოლო, რევოლუციის შემდეგ ვალებს უბრუნებდნენ პატრონებს, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც – ტონობით რუსული ოქროს გაზიდვით ამერიკის თუ ევროპის ბანკებში და რუსეთის სისხლში თუ ცრემლში ჩახრჩობით.

თუმცა ამ ყველაფრის მთავარი შემოქმედი, მაინც ტროცკი იყო, სწორედ ტროცკის ეკუთვნის დეფინიცია, „ხალხის მტრის" ავტორობა, რომელიც თავის მიერ გაცემულ წერილობით ბრძანებაში იხმარა პირველად, მასობრივად დასახვრეტთა მიმართ.

მაგრამ, რუსეთისთვის საბედნიეროდ, ბოლშევიკებში რუსეთის პატრიოტებიც ერივნენ, რომელთაგან უპირველესი, აღმოჩნდა ქართველი სტალინი.

– იოსებ ბესარიონოვიჩი, რომელსაც ლევ დავიდოვიჩი, საკუთარი, ვიწრო წრეში დაცინვით გორელ კინტოს ეძახდა. ჰოდა, ამ კინტომ უტირა დედა ბოლშევიკებში სხვადასხვა დაჯგუფებას და პრაქტიკულად დაშლის პირას მყოფი რუსეთი, მსოფლიოს უძლიერეს და უდიდეს, ამჯერად ატომურ იმპერიად აქცია.

გასული საუკუნის მიწურულს, ისტორია განმეორდა და ახლა ტყლაპიანი გორბაჩოვის თამადობით, ტროცკისტების იდეურმა მემკვიდრეებმა დაამხეს და ლამის დაშალეს სტალინის გადარჩენილი რუსეთი, რომელსაც მხსნელად, გასული საუკუნის ბოლოს ვლადიმერ პუტინი მოევლინა...

„ალკაში" ელცინის დროს რუსეთი იყო გაპარტახებული, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამხედრო თვალსაზრისით დაუძლურებული, ჩრდილოკავკასიაში სამოქალაქო ომით მოცული და ამიტომ პრაქტიკულად კავკასიადაკარგული და, რაც ყველაზე მთავარია, საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტ, მისდამი შიშ და რიდ დაკარგული ქვეყანა, რომელსაც სერიოზულად აღარ განიხილავდნენ.

აი, ამ ქაოსიდან, უმძიმესი მდგომარეობიდან შეძლო ვლადიმერ პუტინმა ქვეყნის მეტ-ნაკლებად გამოყვანა და რა გასაკვირია, რომ „იძულებითი დემოკრატიული რევერანსის" შემდეგ, რასაც მედვედევის ულიმღამო პრეზიდენტობა ჰქვია, მადლიერმა რუსმა ხალხმა კვლავ აირჩია ვლადიმერ პუტინი, რათა ის „მეტნაკლებობა" მეტობისკენ გადახაროს!

ამ ისტორიული ექსკურსიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად მოჩანს თუ რატომ ააგო პუტინმა თავისი წარმატებული საარჩევნო კამპანია, პატრიოტულ, აშკარად ანტიამერიკულ რიტორიკაზე, რასაც რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა მიესალმება. მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ე.წ. არაბული გაზაფხულების შემდეგ, დასავლურ მედიაში, კვლავ აქტიურად განიხილება რუსეთის დაშლის საუკუნისწინანდელი გეგმების თანამედროვე ვარიაციები, რომელთა ერთ-ერთი ავტორ ალენ დალესის სულიერი მემკვიდრე და დღეს პრეზიდენტ ობამას მთავარი იდეოლოგი, ზბიგნევ ბჟეზინსკია.

კომუნიზმის დამარცხების შემდეგ, გლობალიზაციის უპირველესი მტერი მართლმადიდებლობაა და ახლა ის უნდა დავამარცხოთო!

რამაც ყოველგვარი კითხვის ნიშნები მოხსნა რუსი ამომრჩევლის უმეტესობის თვალში ვლადიმერ პუტინის ნაციონალისტურ-პატრიოტული ანტიამერიკული კამპანიის მიმართ.

ამიტომ, ვისაც „ნატოს ოფისის დვორნიაშკის" (როგორც ბატონმა რეზო ამაშუკელმა უწოდაძ, თენგიზ გოგოტიშვილის პასკვილების, ანუ, რუსთავი-2"-ის გარდა, სხვა, არაქართული ტელევიზიების ცქერის საშუალება აქვს, სასაცილოდ არ ეყოფოდა იმის მტკიცება, რომ პუტინის მხარდამჭერ მიტინგებზე 100 ათასობით ხალხი ავტობუსებით მიჰყავდათ ძალდატანებით.

„არა ნარინჯისფერ ჭირს"!, „რუსეთის მოკავშირეები მხოლოდ არმია და ფლოტია"!, „ჩვენ ვიცით ლაკირებული ხელთათმანის



დაახლოებით ეს განაცხადა მან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ჰოდა, ვინ და რა იგულისხმება პირველ რიგში მართლმადიდებლობის დამარცხებაში, თუ არა რუსეთი, როგორც უპირველესი ბასტიონი მსოფლიო მართლმადიდებლური რელიგიისა?

არც ეს იკმარეს და რუს დათვს კიდევ ერთი გამაღიზიანებელი აუფრიალეს ცხვირწინ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, მადლენ ოლბრაიტის განცხადების სახით. ბჟეზინსკისა არ იყოს, ვერც მიხრწნილების ასაკში გადამდგარი მადლენას ციტირებაზე დავდებ თავს, მაგრამ შინაარსს ზუსტად მოგახსენებთ:

სამწუხაროა (თუ უსამართლობააძ, რომ უზარმაზარი ტერიტორიები და გლობალური მნიშვნელობის ბუნებრივი სიმდიდრეები (ურალს იქით არსებული, ოქრო, ნავთობი, გაზი და ა.შ. მენდელეევის მთელი სისტემაძ, მხოლოდ რუსეთს ეკუთვნისო!

თავი დავანებოთ იმას, რომ მსგავსი განცხადება ისეთი დონის თავხედობა, ისეთ „დაუკრეფავში გადასვლაა", რომ ამერიკელებისგანაც კი გასაკვირია მსგავსი არადიპლომატიური გულახდილობა, რადგანაც მთავარი ამ განცხადების შედეგია, რამაც ცეცხლზე ნავთის დასხმის ეფექტი იქონია.

დიპლომატია, მაგრამ ამ ხელთათმანის ქვეშ ფოლადის მუშტი გვაქვს"! აი, ძირითადი ლოზუნგები პუტინის საარჩევნო კამპანიისა.

მართალია არასისტემურმა ოპოზიციამ თეთრი ლენტები შეარჩია საკუთარ სიმბოლოდ, მაგრამ პირველში კონკრეტულად უკრაინის რევოლუციაზეა მინიშნება და ზოგადად ფერად რევოლუციებზე და მათ აპოლოგეტებზე რუსეთში: ვალერია ნოვოდვორსკაიაზე, ალექსეი ნავალნიზე, კოსტია ბოროვოიზე, ბორის ნემცოვზე და ა.შ. (ანუ, იგივე იქაურ „თავისუფლების ინსტიტუტზეძ", რომლებიც ბევრს ბაქიბუქობენ, მილიონიანი მარშით იმუქრებიან, მაგრამ რამდენიმე ასეულ ჰადაჰა ათეულობით ადამიანზე მეტის მობილიზებას ვერ ახერხებენ სამიტინგოდ.

რაც შეეხება მეორე ლოზუნგს, ის თავის დროზე რუსეთის ერთ-ერთ წარმატებულ იმპერატორს, ალექსანდრე მესამეს ეკუთვნის. ხოლო მესამე, უფრო თეზა, ვიდრე ლოზუნგი, ისეთი რიხით დაახეთქა რუსეთის ერთ-ერთმა ცნობილმა „ქორმა" დიმიტრი როგოზინმა, რომ...

თანაც სად, თავისივე ორგანიზებულ, რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსის, არმიისა და ფლოტის მხარდამჭერ მასობრივ შეკრებაზე, რომელზედაც სიტყვით რუსეთის პატრიარქიც (!!!ძ კი გამობრძანდა.,.

ჩვენ დიახაც უზარმაზარი ტერიტორიები გვაქვს და მას ისე დავიცავთ, რომ მტერი შემოვიდეს კი არა – „ცხვირის შემოყოფაც არავინ გაბედოსო"! ხოლო რაც შეეხება ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეებსო – „ამაზე ლაპარაკი კი არა, ფიქრიც დაივიწყეთო"!

ერთ-ერთი შეკრებიდან ვლადიმერ პუტინმა ოკეანესგაღმელ „მეგობრებს" „მოკითხვა შეუთვალა", რის პარალელურად ეკრანზე მიდიოდა რუსეთის „ჟანგიანი" მაგრამ მაინც რატომღაც უახლესი სამხედრო ტექნიკის მიღწევების დემონსტრირება, უახლესი ტანკების, თვითმფრინავების, ატომური სუბმარინების, რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების და ა.შ. სხვა მრავალი შეტევითი თუ თავდაცვითი ტექნიკის სახით, რომლის ხილვისასაც ნორმალური ადამიანი დარწმუნდებოდა, რომ რუსებს „ძალაც შესწევთ ძადილისა"...

რუსეთში მიმდინარე მოვლენების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაც არის მსოფლიო გლობალისტ-სიონისტებისა, ზუსტად ისევე, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში!..

ეს რომ ასეა, ამის დასტურად ისიც კმარა, თუ როგორ შეიჭრნენ ამას წინათ მოსკოვის ერთ-ერთი მართლმადიდებელი ტაძრის საკურთხეველში (!!!ძ ნახევრად შიშველი პროსტიტუტკები და ამით შეურაცხყვეს, წაბილწეს წმინდა ეკლესია, რის გამოც, ბუნებრივია ისინი დააპატიმრეს და 7 წლამდე პატიმრობა ელით. ამის გამო ერთხმად აიფოფრნენ დასავლეთის ე.წ. უფლებადამცველები. იმ დასავლეთისა, საიდანაც ფინანსდება მსგავსი აქციები და „პატარა ბავშვების" განთავისუფლებას ითხოვენ, რადგანაც, მათი აზრით, ეს მხოლოდ ე.წ. გამოხატვის თავისუფლება, და თუ მაინცდამაინც, წვრილმანი ხულიგნობა ყოფილა მხოლოდ...

აი, მეტნაკლებად ობიექტური სურათი რუსეთში ახლა მიმდინარე მოვლენებისა. რომლიდანაც ერთი დასკვნის გამოტანა უკვე შეიძლება – რუსეთში, 7 მაისის ინაუგურაციის შემდეგ დაიწყო ვლადიმერ პუტინის მმართველობის ახალი, როგორც მინიმუმ, 12-წლიანი ერა. ხოლო 9 მაისს პუტინის მიერ სამხედრო პარადის მიღება ის გზავნილი იყო მსოფლიოსთვის, რომ „პუტინის ახალი ერა" დიპლომატიის ლაკირებულ ხელთათმანზე უფრო მეტად, ფოლადის მუშტზე იქნება დაფუძნებული. მუშტზე, რომლის დემონსტრირება იყო 9 მაისის აღლუმი წითელ მოედანზე.

ანუ, „მახო მოსულა"! და კიდევ, მინიმუმ 12 წელიწადი, რუსეთის ფედერაცია არ დაიშლება, მიუხედავად ჩვენში თუ დასავლეთში არსებული, ტვინგაცხელებული ბაიყუში „ექსპერტების" პროგნოზებისა!

ამის გარანტია კი, სამხედრო პოტენციალთან ერთად, დიახაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომლის პატრიარქის ერთი მოწოდება ხშირად გაცილებთ ეფექტიანია, ვიდრე თუნდაც ვლადიმერ პუტინის კარგად გათვლილი პიარაქციები. ანუ, რუსეთში ოდითგან ასე იყო და ასეა – ეკლესია და სახელმწიფო, ერთსულ და ერთხორც არიან. რაც საქილიკო კი არა, ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა გველის ჩვენ, – საქართველოს, პუტინის ახალ ერაში? თუ არ მოვიშლით აბსოლუტურად უპერსპექტივო, „ნა-ტო, ნა-ტოს"! სკანდირებას, კარგი არაფერი. მაგრამ ეს ცალკე, ვრცელი თემაა და ამაზე სხვა დროს...

**დავით მხეიძე**

---

განუკითხაობა

# სად ველოტრასა და სად – ბოტანიკური ბაღი?!

(მესამე გვერდიდან)

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ბაღი ფორმალურად გადაეცა და არც არანაირი კეთილმოწყობითი და აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებულა. ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი მიაბეს ე.წ ანაკლია-განმუხურის რესორტიას, ანუ ბოტანიკური ბაღი, ანაკლიისა და განმუხურის ინფრასტრუქტურა მოაქციეს ერთ სტრუქტურაში, ერთ დაქვემდებარებაში. რა სტრუქტურაა ეს, სად მდებარეობს მისი ოფისი და ვინ არის მისი ხელმძღვანელი, გაურკვეველია. სწორედ ამ „ანაკლია-განმუხურის რესორტიის" დაკვეთით ჩეხავენ ხეებს და გაჰყავთ ველოტრასა სამშენებლო ფირმა „სანს". გავრცელებული ვერსიით, ანაკლიის, განმუხურის ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, ბოტანიკური ბაღის გაჩეხვისა და ველოტრასის მშენებლობის პროცესს ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია ხელმძღვანელობს.

ვინაიდან ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ოფიციალურად ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და მის დაქვემდებარებაშია, „ეკოლოგიური სამართლის ცენტრი" სამართლიანად სწორედ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ადანაშაულებს კულტურული მემკვიდრეობის განადგურებაში.

„ბოტანიკური ბაღი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მშენებლობის პროცესი კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან უნდა იყოს შეთანხმებული", ნათქვამია „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის" განცხადებაში.

განცხადება, რა თქმა უნდა, სწორია. ეს ასე უნდა კეთდებოდეს ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ! ბოტანიკური ბაღი, ხომ ფორმალურად ეკუთვნის ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, ხოლო ვინ მართავს მას, ამის შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

სად ველოტრასა და სად ბოტანიკური ბაღი? კითხულობენ გაკვირვებული ზუგდიდელები. თუ მაინცდამაინც ჰოლანდიას გვინდა დავემსგავოთ, რა აუცილებელია ასევე მაინცდამაინც ბოტანიკური ბაღის გაჩეხვა და მის ტერიტორიაზე ველოტრასის გაკეთება. ნუთუ სხვაგან ადგილი ვერ გამოიძებნა?

**ლადო ქირია**

ზუგდიდი

P.S. ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის არც ქალაქის ცენტრში მილონ ორასიათას ლარად ღირებული შადრევანის გაკეთებაც უკითხავთ, რომელსაც ფონად საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა ადევს. შადრევანი უმეტესწილად არ მუშაობს და ხალხი ამ დროშაზე და ჯვრებზე დგას და დაიარება, რაც მკრეხელობაა.

ლ. ქ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისში წყალდიდობის შედეგებს ალმოფხვრიან

**თბილისში მიმდინარეობს წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაცია, რამაც 5 კაცის, მათ შორის ორი ბავშვის, სიცოცხლე შეიწირა. გორგასლის ქუჩაზე დავინახე ერთ-ერთი სახლის მცხოვრებლები, რომლებსაც ხელში ცოცხები და ბარები ეჭირათ, რითაც თავიანთი სახლებიდან და ბინებიდან გამოჰქონდათ ტალახი და ჭუჭყი.**

რუსუდან ლამბაშიძე პირველ სართულზე ცხოვრობს. ის თითქმის მუხლებამდე ტალახშია თავისი მისაღები ოთახის შუაში და უყურებს, თუ როგორ გამოაქვთ მისი დატბორილი ბინიდან ავეჯი.

„ჩვენ გუშინ ბავშვი საავადმყოფოში მივიყვანეთ, გვეგონა აპენდიციტი იყო, — გვიამბობს რუსუდანი. — ამ დროს მოხდა ყველაფერი. კიდევ კარგი, ბავშვები სახლში არ იყვნენ, — ამბობს იგი. — შემდეგ ჩვენ დიდხანს ვერ შევძელით შევსულიყავით სახლში, ხოლო როცა შევედით... ხედავთ, რა ხდება? აბსოლუტურად ყველაფერი გაფუჭებულია!“

როდესაც ჟურნალისტები დაინახეს, ზოგიერთმა მცხოვრებლებმა თავისი გაღიზიანება ვერ დამალეს: „მოდით, გადაიღეთ, რა სიკეთეა? სჯობდა მაშველები მოგეყვანათ!“ — გამწარებით ყვირის ხანდაზმული ქალი.

ოთხი ხუთი დაღუპულიდან, მათ შორის ორი ბავშვი, ცხოვრობდა საცხოვრებლად გადაკეთებულ ავტოფარეხში. აქ მოვარდა პირველად წყლის ნაკადი.

ხელისუფლების წარმომადგენელთა სიტყვებით, ყველა დაზარალებული უზრუნველყოფილი იქნება საცხოვრებელით.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კვირას შეხვდა დაზარალებულებს, განაცხადა, რომ თბილისის ხელისუფლებამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, რათა დაზარალებულებს დაეხმაროს.

პრეზიდენტის სიტყვებით, საქართველოს დედაქალაქი უნდა გავათავისუფლოთ ბარაკის ტიპის ნაგებობებისგან.

სწორედ უკანონო შენობები, ქალაქის მერის გიგი უგულავას სიტყვებით, გახდა მიზეზი წყალდიდობის ტრაგიკული შედეგებისა.



ძლიერი წყალდიდობის შედეგად, რომელიც შაბათს დაახლოებით ღამის 9 საათზე დაიწყო, დედაქალაქის ზოგიერთ რაიონში პარალიზებული იყო მოძრაობა.

როგორც თბილისის მერიის პრესცენტრში ბი-ბი-სი-ს რუსულ სამსახურს უთხრეს, დიდი ნალექების შედეგად გადაიჭედა კოლექტორი, რამაც წყლის მოვარდნა გამოიწვია.

ქალაქის ხელისუფლებამ ასევე უარყო ადრე გავრცელებული ინფორმაცია, რომ დატბორვა გამოიწვია მტკვრის გადმოსვლამ ნაპირებიდან.

სულ, თბილისის მერიის მონაცემებით, დაზიანდა 11 ოჯახი. ხუთი კაცი, მათ შორის ორი ბავშვი დაიღუპა.

ქალაქის საგანგებო და გადაუდებელ სიტუაციათა სამსახურის სააგენტოს ხელმძღვანელის თეიმურაზ გიორგაძის სიტყვებით, ნაგებობა, სადაც ოთხი დაღუპული იმყოფებოდა, საცხოვრებლად გადაკეთებული ავტოფარეხია, მან პირველმა მიიღო წყლის ნაკადის დარტყმა.

მეხუთე მსხვერპლის, 84 წლის ქალის სხეული მის სახლში მხოლოდ კვირა დილით აღმოაჩინეს.

ქალაქში გამოცხადდა საგანგებო სიტუაცია, დახმარებისთვის მაშველებს გაუგზავნეს სამხედროებიც.

ზოგიერთი ხალხის ევაკუაცია ნავების საშუალებით მოხდა, ბევრი ნახევრად დატბორილი ავტომანქანების სახურავებიდან გადმოჰყავდათ.

დაზიანდა აგრეთვე გზები და ზოგიერთი ელექტროგადამცემი ხაზი.

BBC RUSSIAN.com

# რომანი საქართველოსა და ისრაელს შორის არასასიამოვნო განქორწინებით დამთავრდა

**მიუხედავად ისტორიული პარალელებისა და ორივე მხარის შეთანხმებული ძალისხმევისა – დაამყარონ მყარი ურთიერთობანი, დღეს ცხადია, რომ საქართველო და ისრაელი დგანან სრულიად სხვადასხვა გეოპოლიტიკური პრობლემების წინაშე, მათი ეროვნული ინტერესები კი სულ უფრო და უფრო ეწინააღმდეგება ერთმანეთს. უფრო მეტიც, თანამშრომლობა, რომელიც ასეთი ბუნებრივი ჩანდა, ეტყობა, დაირღვა სამუდამოდ.**

საქართველოს 2003 წლის ვარდების რევოლუციამ ხელი შეუწყო იმას, რომ თბილისში ხელისუფლების სათავეში მოვიდა მოდერნიზატორების ახალი თაობა, რომლებმაც განათლება დასავლეთში მიიღეს. მას შემდეგ ქვეყანა ცდილობდა, მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი 130-ათასიანი დიასპორა ისრაელში ინვესტიციებისა და პარტნიორობისთვის. საქართველოს ჩინოვნიკებმა ისრაელი მიბაძვის ნიმუშად გამოაცხადეს და ისრაელის ძნელ გზას ხშირად ადარებდნენ უწყვეტ საკუთარ სახელმწიფო კონფლიქტებს რუსეთთან საქართველოს სეპარატისტულ ოლქებთან დაკავშირებით.

ისრაელის გადარჩენის მიმზიდველი ისტორიის გარდა ქართველ ლიდერებს შთაგონებას მატებდა ისრაელის აყვავება, მიუხედავად ბუნებრივი რესურსების სიმცირისა და მტრების სიმრავლისა. შედარებით პატარა სახელმწიფოს სტატუსის ისრაელის რევოლუციურ გზაში ქართველები ხედავდნენ თავიანთი აყვავებისა და უშიშროების გზასაც.

მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომი არა მხოლოდ გადაიქცა კულმინაციად საქართველოს ორპარტიული მხარდაჭერისა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, არამედ მან ასევე მიგვანიშნა ისრაელსა და საქართველოს შორის მეგობრობის დასასრულის დაწყებაზეც.

მიუხედავად ერთგვარი მძიმე ზედაპირული მსგავსებისა ორ ქვეყანას შორის, ისრაელისა და საქართველოს ეროვნული ინტერესები 2008 წლისთვის სულ უფრო და უფრო ძლიერად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. რუსეთი, საქართველოს დაუძინებელი მტერი და ორი სეპარატისტული რეჟიმის სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის მფარველი, გახდა გადამწყვეტი ხმა გაეროს სანქციებთან დაკავშირებით ირანის წინააღმდეგ.

ისრაელი, რომელიც ირანის ბირთვულ პროგრამას აფასებდა, როგორც თავისი არსებობის პოტენციურ საფრთხეს, ცდილობდა, წაერთმია თეირანისთვის ერთ-ერთი თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი. ისრაელისთვის არჩევანი მოსკოვსა და თბილისს შორის არჩევანიც კი არ ყოფილა.



2008 წლის ომამდე ისრაელის თავდაცვითი კომპანიები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის პროგრამაში და მათ ქართველი ჩინოვნიკები ჩვეულებრივად გადაჭარბებულადაც კი აფასებდნენ. მაგრამ სულ რაღაც რამდენიმე დღით ადრე მანამ, სანამ დაიწყებოდა სამხედრო მოქმედებები, ისრაელმა შეწყვიტა საქართველოსთან თავდაცვის საკითხებში შეთანხმების მოქმედება და ამის ნაცვლად, სულ რაღაც რამდენიმე თვის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, მიეყიდოს იარაღი რუსეთს.

„რეალური პოლიტიკის“ ამ აშკარა აქტმა ქართველი ჩინოვნიკების რისხვა გამოიწვია, მათ შორის თეიმურაზ იაკობაშვილისაც, რომელსაც იმ დროს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის პოსტი ეკავა. ის არის ქართველი ებრაელის და ისრაელის ყოფილი მცხოვრები. იაკობაშვილმა, რომელიც ამჟამად საქართველოს ელჩია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ ნაბიჯს „სამარცხვინო“ უწოდა.

ურთიერთობათა შემდგომი გაუარესება ცხადი გახდა 2010 წელს, როდესაც საქართველოში ისრაელელი ბიზნესმენი რონი ფუქსი კოლეგასთან ერთად აღმოჩნდა ციხეში ქართველი ჩინოვნიკის მოსყიდვის მცდელობის ბრალდებით, რომლის მეშვეობითაც ფუქსი ცდილობდა, დაებრუნებინა 90 მილიონი დოლარი, რაც საქართველოს მთავრობას ასესხა. ფუქსი და მისი კოლეგა გაათავისუფლეს 2011 წლის ბოლოს — სწორედ იმ დროს, როდესაც გააფორმეს შეთანხმება საქართველოს ვალის შემცირების შესახებ 37 მილიონ დოლარამდე.

მარკ კაცი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის პოლიტოლოგი და სპეციალისტი რუსეთის ახლო აღმოსავლეთთან ურთიერთობაში, ისრაელსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესებას მიიჩნევს სავსებით ბუნებრივ პროცესად, რომელსაც ხელს უწყობს თუნდაც ის, რომ ისრაელში ცხოვრობს დიდი ოდენობის რუსულენოვანი იმიგრაციული მოსახლეობა.

ამ დროს საქართველო საქმიანად ზრდის თავის საკუთარ კავშირურთიერთობებს ირანთან, აფართოებს ვაჭრობას, უარს აცხადებს სავიზო მოთხოვნებზე და იცავს კიდეც ირანის უფლებას ბირთვულ ენერგიაზე. ბევრის გასაოცრად, ამ ცოტა ხნის წინათ საქართველო დაჟინებით მოითხოვდა, რომ მოეწვიათ ირანელი მეთვალყურეები, დასწრებოდნენ ამერიკა-საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო სწავლებაზე. ისრაელისა და საქართველოს ერთმანეთისგან მკვეთრად დაშორებული გზები მოწმობს იმის შესახებ, რომ დღევანდელი ურთიერთ ფრთხილი დამოკიდებულება არ არის შემთხვევითი ანდა მოკლევადიანი, უფრო სწორად, ეს არის ინტერესების კონფლიქტის გამოხატულება. ისრაელისთვის ირანი — ეს არის არსებობის საფრთხე, რუსეთი კი — აუცილებელი პარტნიორი. საქართველოსთვის რუსეთი — საფრთხეა, ირანი კი — პარტნიორი.

ამერიკელი პოლიტიკოსები, რომლებიც ბევრ საერთოს პოულობენ ისრაელსა და საქართველოს შორის, არა მხოლოდ უბრალოდ ცდებიან, არამედ ეწევიან იმის რისკსაც, რომ მიაყენონ ზიანი ორივე ქვეყანას.

თბილისს მოუწევს ან ეძებოს მხარდაჭერა სხვა მფარველი სახელმწიფოებისგან, ანდა კარდინალურად შეცვალოს კურსი და აღადგინოს თავისი დასუსტებული „დემოკრატიისკენ სწრაფვა“ ანდა განამტკიცოს ვაშინგტონის მხარდაჭერა.

**მაიკლ ჰიკერი სეკაირი**

World Politics Review

დამოუკიდებელი ანალიტიკოსი, რომელიც არის სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის სპეციალისტი.

## დედამიწის ზურგზე



**ირანისა და მაგატეს მოლაპარაკების სტარტის წინა დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდა ბირთვული გამოცდების ცილინდრის სქემა**

ორშაბათს ვენაში გაიმართა მაგატესა და ირანის წარმომადგენელთა მორიგი მოლაპარაკება ამ უკანასკნელის უფლებების შესახებ მშვიდობიან ატომზე. ძალიან მალე ბაღდათში იმავე საბაბით უნდა შეიკრიბოს „ბირთვული ექვსიანი“. ამ მოვლენის წინა დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდა კომპრომატის ახალი პორცია: 2003 წლიდან ირანი თითქოს აწარმოებდა ატომური ბომბების გამოცდას.

* * *

**ნეპალის ტურისტულ რაიონში დაიმსხვრა თვითმფრინავი. მის ბორტზე 21 კაცი იყო**



კატასტროფა მოხდა ქალაქ ჯომსომის მახლობლად — ეს არის პოპულარული ტურისტული რაიონი ნეპალის ჩრდილოეთით. გერმანული მარკის ლაინერი დაიმსხვრა მთაზე მოხვევის დროს, დასაჯდომად როდესაც მიემართებოდა. არიან გადარჩენილებიც. მგზავრთა შორის იყვნენ ინდიელები და ევროპელები.

* * *

**ავსტრალიელ სამხედროთა დიდი ნაწილი დატოვებს ავღანეთს 2013 წლის ბოლოსთვის**



ამჟამად იქ 1500-ზე მეტი ავსტრალიელი სამხედრო მოსამსახურეა, ისინი დისლოცირებული არიან ძირითადად ურუზგანში, სადაც ავღანეთის არმიის მეოთხე ბრიგადის ჯარისკაცებს ამეცადინებენ. ავღანეთში ყოფნის პერიოდში 32 ავსტრალიელი დაიღუპა, 219 დაიჭრა.

* * *

**საბერძნეთის პრეზიდენტმა ვერ შეძლო მიეღწია შეთანხმებისთვის ყველა პარტიული მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ**

კაროლოს პაპულიასის პრესსამსახურმა ჯერჯერობით ვერანაირი კომენტარი ვერ გაუკეთა მოლაპარაკების შედეგებს. მაგრამ ადგილობრივმა ტელევიზიამ, პრეზიდენტის სასახლიდან ინფორმაციაზე მითითებით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ სახელმწიფოს მეთაურის ძალისხმევა გაგრძელდება ორშაბათსაც.



## „ეგრე არ არის თაყაო...“

# „ქუეყანასა ჩუენსა აფხაზეთს“

რას არ იტყვის კაცის ენა, რას არ გაიგონებს კაცის ყური – უთქვამს ქართველ კაცს. სწორედ ასეთი გრძნობა დამეუფლა, როდესაც 2012 წლის 4 მაისს ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა: „სოხუმში არ ისმოდა ქართული ენა. ყველამ გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, რამდენი ქართული სიმღერა არის დაწერილი სოხუმზე? ყველა სიმღერა დაწერილი იყო ვერაზე, ვაკეზე, ავლაბარზე, ორთაჭალაზე, ქუთაისზე კარგი სიმღერები დაიწერა. სოხუმზე არ იწერებოდა სიმღერები, რადგან არ იყო ის საქართველოს შემადგენლობაში“.

აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ქართველი ტომები აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. ძველ ბერძნულ და ქართულ წყაროებში ამის შესახებ უამრავი მასალაა დაცული. უფრო მოგვიანებით, ბერძნულის გარდა, სხვა უცხოური წყაროებიც ამასვე ადასტურებს. ბუნებრივია, ერთ სტატიაში შეუძლებელია ამ საკითხების განხილვა და ამჟამად ეს ჩვენს ინტერესებში არ შედის, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილი ქართველი და აფხაზი მეცნიერების აზრით, აფხაზეთი უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ქვეყანა იყო. იგი ისეთ ქვეყნად მიაჩნდათ, რომელიც, „ქართლად... აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, როგორც ძველი ქართველი მემატიანე იტყოდა, „ვთქვათ მრავალთაგან მცირედი“. ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში აფხაზეთი ქართული სამყაროა, მისი ორგანული შემადგენელი ნაწილია. ამის დამადასტურებელი უამრავი ცნობაც რომ არ იყო დაცული ქართულ წყაროებში, ერთი ადგილის მოტანაც იკმარებდა მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში გიორგი მცირის მიერ დაწერილი გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან: „ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. ამავე ნაწარმოებში სხვა ადგილას აღნიშნულია: „ანდრეა მოციქულმან მოვლო ქუეყანად ჩუენი, ხოლო სიმონ კანანელმა სრულიად დაიმკვიდრა, რამეთუ ნიკოფსს არიან ნაწილნი მისნი წმიდანი (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტ. III, თბ., 2008, გვ. 543, 581ძ. ამ ასპექტში მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სოხუმის ძველი სახელწოდება „ცხუმი“ ქართული, კერძოდ, სვანური წარმოშობისაა და რცხილის სვანურ სახელს – ცხუმს უკავშირდება. როგორც აღნიშნავენ, ასეთი სახელწოდებები ფართოდაა გავრცელებული სვანეთსა და ნასვანარ ადგილებში (ცხუმარი – სოფელი მესტიის რაიონში, ცხუმელური – ლენტეხის რაიონში, ცხმორა – რაჭა, ცხომარეთი – ზემო იმერეთი და სხვ.ძ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა შეიძლება დავასრულოთ ცნობილი ინგლისელი მეცნიერის ბ. უნბეგაუნის მოსაზრებით, რომელიც წერს: „აფხაზური ენა, ჩერქეზულთან და ყაბარდოულთან ერთად ეკუთვნის სხვა, ჩრდილო-კავკასიურ ჯგუფს. მიუხედავად ამისა, გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობებით აფხაზეთი ყოველთვის ეკუთვნოდა საქართველოს, წარმოადგენდა მის ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციას“ (Унбегаун В. О, Русские фамилии. Перевод с английского. М., 1989, с. 291ძ.

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ სოხუმში უპირატესად სწორედ ქართული ენა ისმოდა. ის, რომ ცალკეულ შემთხვევაში სხვა ერის წარმომადგენელი, ქართული ენის ცოდნის დროსაც კი, ქართულად არ დაგელაპარაკებოდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სოხუმში ქართულად არ ლაპარაკობდნენ. ასეთი ცალკეული შემთხვევები მხოლოდ გაღიზიანებას იწვევდა ადგილობრივ თუ დასასვენებლად ჩასულ ქართველ მოსახლეობაში.

ახლა თუ ფაქტებსაც მოვუხმობთ, ჭეშმარიტებას ვერსად გავექცევით. სოხუმში არსებობდა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამედიცინო ტექნიკუმი, სადაც ლექციები ძირითადად ქართულ ენაზე იკითხებოდა, 1987-1988 სასწავლო წელს აფხაზეთში 41 ათასი ქართველი მოსწავლიდან 32 ათასი განათლებას იღებდა ქართულ სკოლებში, სოხუმში არსებობდა დრამატული თეატრი აფხაზური და ქართული დასებით, სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და სხვ. ამასთან, რაც მთავარია, მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით სოხუმში 119 ათასი კაცი ცხოვრობდა და მოსახლეობის დიდ უმრავლესობას – 50 ათას კაცს – ქართველები შეადგენდნენ (42 პროცენტიძ. სოხუმში აფხაზების რაოდენობა 15 ათას კაცს უდრიდა (12,6 პროცენტიძ, რუსებისა – 26 ათასს (21,8 პროცენტიძ, ხოლო სომხებისა – 12 ათას კაცს (10,1 პროცენტიძ. ამასთან აფხაზეთში მცხოვრები ქართველების 98,5 პროცენტი მშობლიურ ენად თვლიდა თავისი ეროვნების ენას, რაც მაღალი მაჩვენებელია.



აღნიშნული მონაცემების მოტანის შემდეგ სრულიად გაუგებრობის სფეროში რჩება პრეზიდენტის ნათქვამი იმის შესახებ, რომ სოხუმში არ ისმოდა ქართული ენა. როდესაც ქალაქის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართველი იყო, რომლებსაც ქართულ ენაზე ჰქონდათ საშუალო და უმაღლესი განათლება მიღებული, ერთმანეთთან ურთიერთობის დროს გამორიცხულია სხვა ენაზე ლაპარაკი, სულ რომ არაფერი, მეგრულს მაინც გამოურევდნენ საუბარში. ფოთში გაზრდილმა თამაზ ნოდიამ ჩუკოტკაზე ინტერნატის მოსწავლეებს ინგლისურის მაგივრად მეგრული ენა ასწავლა თავისუფლად და სოხუმში რა ღმერთი გაუწყრებოდა მეგრულად მორიდებოდა საუბარს.

ახლა, თუ გულზე ხელს დავიდებთ, როგორც პრეზიდენტი გვთხოვს, მაინც ვერ ვიტყვით, რომ არ არის დაწერილი სიმღერა სოხუმზე და თითქოს ყველა სიმღერა დაწერილი იყო ვერაზე, ვაკეზე, ავლაბარზე, ორთაჭალაზე. სოხუმზე კი თითქოს არ იწერებოდა სიმღერები იმის გამო, რომ არ იყო საქართველოს შემადგენლობაში. ძალიან უსუსური მსჯელობაა. რამდენადაც ვიცი, არც ოზურგეთსა და ზუგდიდზე შექმნილა სიმღერები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი საქართველოს შემადგენლობაშია. და საერთოდ, გაუგებარია სიმღერების შექმნა რა კავშირშია საქართველოს შემადგენლობაში ყოფნაზე. ისე მართალი გითხრათ, არც ვაკეზე, ვერაზე, ავლაბარზე და ორთაჭალაზე შექმნილ სიმღერებს ვიცნობ, თუ მე-19 საუკუნეში შექმნილ ლექსზე დაწერილ სიმღერას (ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარძ არ მივიღებთ მხედველობაში. ისე დედაქალაქზე დაწერილ სიმღერაში მისი რომელიმე უბანიც თუ იქნება ნახსენები (მაგალითად, სად არის ახალი ვარაზი, სად არის ახალი მთაწმინდა, რაც პრეზიდენტს გამორჩაძ, ეს არაფერს ნიშნავს და საერთოდ ასეთი შედარებების გაკეთება არაფერს გვაძლევს.

ახლა, რაც შეეხება სოხუმზე დაწერილ სიმღერებს – ამის შესახებ უკვე პრესაში ითქვა. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ათეულ წლებში სკოლებსა და ფესტივალებზე მღეროდნენ ქართულ სიმღერას: „სოხუმო, ჩემო სოხუმო, ჩემო ქალაქო მზიანო, შენთვის ჩონგურის სიმები როგორ არ ავახმიანო“. სოხუმში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სოხუმის მშვენება, ცნობილი მომღერალი კიწი გეგეჭკორი და ლეგენდარული მომღერალი ნიკო ხურცია, რომელსაც მრავალი სიმღერა აქვს შექმნილი და აღდგენილი. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ასრულებდნენ ქართულ სიმღერებს და უმღეროდნენ სოხუმსა და აფხაზეთს.

საქართველოს პრეზიდენტი, მართალია, უარყოფს სოხუმის და, მაშასადამე, მთელი აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, მაგრამ ხომ არ აჯობებდა ამ მხრივ ცნობილი აფხაზი პოეტებისთვის მაინც დაგვეგდო ყური, რომლებიც უმღეროდნენ საქართველოს და გარკვევით აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია.

აფხაზი პოეტი ლეონტი ლაბახუა ლექსს „ქართველ პოეტებს“ ასე ამთავრებს: „ჩავიხატებით ქართველების მზიურ ღიმილში“. ალექსი ჯონუა კი საქართველოს დიდი მომღერალია: „მე საქართველოს ტრფიალით ვიწვი, ვხარობ თბილისის ასხივოსნებით“, ხოლო სოხუმში ჩასულ თბილისელებზე იგი წერს: „ვამბობ, ძმა შედის საკუთარ სახლში“. ასევე ქართველებისადმი სიყვარულით არის გამთბარი აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, დიდი კლასიკოსის დიმიტრი გულიასა და აფხაზეთის სახალხო პოეტის ბაგრატ შინკუბას სტრიქონები. ცნობილი აფხაზი პოეტის ბორის გურგულიას ლექსში „ედემი ხარ, პატარა!..“ კი აფხაზეთი არის „ფერთა ფრთამავალ არწივის – საქართველოს ნაწილი“ (აფხაზური ლიტერატურა, ქრესტომათია, თბ., 1978, გვ. 219, 313-314, 444ძ და ა. შ. და ა. შ.

ჩვენი გამოჩენილი ძველი საეკლესიო მოღვაწეებიც ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში – აფხაზეთში, კერძოდ ნიკოფსიაში დამარხულია სვიმონ კანანელი, ცნობილი ქართველი, აფხაზი და უცხოელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ „გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობებით აფხაზეთი ყოველთვის ეკუთვნოდა საქართველოს, წარმოადგენდა მის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციას“, ხოლო აფხაზი პოეტები უმღერიან აფხაზეთს, როგორც „ფერთა ფრთამავალ არწივის – საქართველოს ნაწილს“, ამ დროს ნამდვილად საკითხავია, რა რჯის საქართველოს პრეზიდენტს საჯაროდ განაცხადოს – სოხუმი არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაშიო. ცხადია, მაშინ არც აფხაზეთი შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. ასეთი განცხადება მით უფრო მიუტევებელია, რომ აფხაზეთში მომხდარმა სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 300 ათასი ქართველი ლტოლვილად აქცია, გააჩანაგა საქართველოს ეკონომიკა, ხალხი ფსიქიკურად დააავადა და კიდევ რომელი ერთი უბედურება ჩამოვთვალოთ. ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ ასეთი მსჯელობით ყველაფერში ქართველი ხალხი ყოფილა დამნაშავე, მრავალ ქართველს უაზროდ შეუწირავს სიცოცხლე სამშობლოსთვის და საქართველოს აფხაზეთის დაბრუნებაზე არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. თუ პრეზიდენტის განცხადება ჰაიჰარად წამოსროლილი სიტყვები არ არის, მაშინ მის განცხადებაში ქართველი ხალხისთვის მეტად საშიში მიზნები იმალება. კერძოდ, პრეზიდენტი რუსეთსა და დასავლეთს აგრძნობინებს, რომ იგი მზად არის, უარი თქვას დაკარგულ ტერიტორიებზე ძალაუფლების შენარჩუნებისა და ნატოში მიღების სანაცვლოდ. ასეთ შემთხვევაში ნათლად იკვეთება ქართველი ხალხის მოთხოვნა – ნატოში მიღებას არ უნდა ვანაცვალოთ ქართველი ხალხის ბედიღბალი. ნაციონალების განმარტებით, საქართველომ ხომ უდიდესი რეფორმები განახორციელა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც მრავალი ქვეყნისათვის სამაგალითო გახდა, მაშ, მეტი რა მოთხოვნები უნდა წაუყენონ ნატოში მისაღებად ასეთ წარმატებულ ქვეყანას, სრულიად გაუგებარია, მით უმეტეს, როდესაც გასული წლის 10 დეკემბერს პრეზიდენტმა კახეთში ერთ-ერთი ჰესის გახსნის დროს ტელევიზიით საქვეყნოდ განაცხადა: „საქართველო ადის მაღლა, როდესაც მთელი მსოფლიო ჩადის დაბლაო“. მარამ, ცხადად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკური ფაქტორები და, უპირველესად, რუსეთის ფაქტორი ასრულებს გადამწყვეტ როლს, ჩვენ კი დაპირებებით გვკვებავენ.

უკვე ოცი წელი გავიდა ჩვენი ქვეყნისა და მისი ისტორიული კუთხის – აფხაზეთის დაშორიშორებიდან. ამ ხნის განმავლობაში უამრავი მაღალი თუ დაბალი დონის შეხვედრებისა და რუსეთისათვის ოკუპანტის ძახილის გარდა შედეგი არ ჩანს. პირიქით, ვითარება სულ უფრო მწვავდება და დროც ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს.



ანზორ თოთაძე,
პროფესორი, დემოგრაფი

P. S. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ სულაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს პრეზიდენტი ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად სლოვენიაში გაფრინდა, მაშინ, როდესაც წინა დღით ღვარცოფმა მთელი თბილისი არნახულად დააზიანა, და ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მსგავს ტრაგიკულ დღეებში სტუმრად სხვა ქვეყნებში მყოფი პრეზიდენტები სასწრაფოდ ვიზიტებს წყვეტენ და სამშობლოში ბრუნდებიან. უფრო მეტად იმ ადამიანებისა მიკვირს, რომლებიც ყოველივე ამის მიმართ ხზოს კუნტრუშით გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას.

ა. თ.

მხატვრული ტანვარჯიში

# „თბილისის თასზე“ ათმა ქვეყანამ იასპარეზა



**ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და თბილისის მერიის თანადგომით კალათბურთის აკადემიის სპორტის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს, რუსეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ჩეხეთის, უზბეკეთის, პოლონეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ ოლიმპიური ჩემპიონი, ტანვარჯიშულ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი მარინა ლობაჩი (ბელარუსი), რომელმაც ტურნირის ორგანიზაციას უმაღლესი შეფასება მისცა.**

„თბილისის თასზე“ განსაკუთრებით ახალგაზრდა ქართველმა სპორტსმენებმა იყოჩაღეს. ჯგუფურ ვარჯიშში მათ სამი პირველი ადგილი დაიკავეს. გაბრიელა ხვედელიძემ რგოლითა და გურზებით ვარჯიშში მოიპოვა ოქროს მედლები. მანვე სოფიო ფარულავასთან და სალომე ფაჟავასთან ერთად გუნდურშიც აჯობა ყველას. სოფიო და სალომე კი ინდივიდუალურში, შესაბამისად, ბურთითა და ბაფთით მეორე ადგილებს დასჯერდნენ. ასევე ვერცხლის მედალი ერგოთ მრავალჭიდში სენიორთა შორის ელვირა ზუკაკიშვილს, რომელმაც ამას წინათ მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. პირველი ადგილი სახელოვანი ტანმოვარჯიშის – ოქსანა სკალდინას ქალიშვილმა დარია სვატკოვსკაიამ დაიკავა. საგულისხმოა, რომ მოსკოვში ზუკაკიშვილსაც სკალდინა ავარჯიშებს. აქვე თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაცნობებთ.



**ახალგაზრდები: ცალკეული საგნები.**

**რგოლი.** 1. გაბრიელა ხვედელიძე (საქართველო, 25,15ქ, 2. ვერონიკა პოლიაკოვა (რუსეთი, 24.7ქ, 3. მარიკა ზავადსკა (ლატვია, 23.875ქ.

**ბურთი.** 1. კარინა იეროგინა (ესტონეთი, 26ქ, 2. სოფიო ფარულავა (საქართველო, 25.875ქ, 3. ვალერია დავიდოვა (უზბეკეთი, 24.975ქ.

**გურზები.** 1. გაბრიელა ხვედელიძე (24.9ქ. 2. ანასტასია ტატარევა (რუსეთი, 24.5ქ, 3. მალვინა კოზლოვსკაია (პოლონეთი, 22.925ქ.

**ბაფთა.** 1. კარინა იეროგინა (26.3ქ, 2. სალომე ფაჟავა (საქართველო, 25.25ქ, 3. ანასტასია ტატარევა (რუსეთი, 25.125ქ.

**გუნდური.** 1. საქართველო, 2. რუსეთი, 3. ესტონეთი.

**მრავალჭიდი უფროსებში.** 1. დარია სვატკოვსკაია (რუსეთი, 108.650ქ, 2. ელვირა ზუკაკიშვილი (საქართველო, 101.850ქ, 3. ანა ზარნეიჩკა (პოლონეთი, 100.625ქ.

**ჯგუფური ვარჯიში.** 1. საქართველო (ლიანა ცეცაძე, მედეა გათენაძე, სალომე ბურდილაძე, ქეთი ასიტაშვილი, ნაზი ასიტაშვილიქ, 2. ლიტვა, 3. ჩეხეთი.

**ლექსო ცინცაძე**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

კალათბურთი

# ფინალში „არმია“ და „ოლიმპი“ ითამაშებენ

**საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში „ქუთაისმა“ აშკარად აჯობა „ოლიმპს“, მაგრამ ფლეი ოფების ჯერი დადგა და გადამწყვეტი პაექრობებისთვის გია კაზანჯიანის შეგირდები უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ. „ოლიმპმა“ რიონისპირელებს ზედიზედ ორი შეხვედრა მოუგო, რასაც ქუთაისის კლუბის ხელმძღვანელთა საჩივარიც მოჰყვა.** საპრეტენზიო წერილში მკაფიოდ იყო მითითებული, რომ არბიტრებმა – დავით და ირაკლი ბერიშვილებმა მიკერძოებულად იმსაჯესო. საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ორივე გუნდის მწვრთნელების დავით უსტიაშვილისა და გია კაზანჯიანის თანდასწრებით გამოწვლილვით განიხილა „ქუთაისი“ – „ოლიმპის“ შეხვედრა. აღმოჩნდა, რომ მსაჯების ზოგიერთ უზუსტობას, თანაც მხოლოდ ერთი გუნდის საზიანოდ არა, პაექრობის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. ის, რომ „ოლიმპი“ ამ ეტაპზე უკეთეს სპორტულ ფორმაშია, ეს ფლეი ოფის მესამე მატჩმაც დაადასტურა – რიონისპირელებმა სპორტის სასახლეშიც დამარცხებულებმა (69:73ქ დატოვეს სარბიელი, არადა, პირველი პერიოდი ქულით მოიგეს (17:16ქ, აი, მეორე ათწუთიან მონაკვეთში კი მეტოქეს მნიშვნელოვნად დაწინაურების (18:12ქ საშუალება მისცეს, შესვენების შემდეგ დანაკლისის ანაზღაურება ვერ შეძლეს. ამდენად, „ოლიმპმა“ ნახევარფინალის სამივე მატჩში მიაღწია წარმატებას და ფინალში „არმიას“ დაუპირისპირდება, რომელმაც გადამწყვეტ ეტაპზე გასასვლელად, ასევე, სამი ორთაბრძოლა იკმარა. სოხუმელებთან ბოლო შეხვედრის პირველი და მესამე პერიოდები შედარებით თანაბარ ბრძოლაში გაილია, მეორე და მეოთხე ათწუთიანი მონაკვეთები კი „არმიამ“ მოიგო. ზღვისპირელებმა დიასსა და



ვუდსაიდს (თითოეულმა გუნდს 23-23 ქულა შესძინაქ ვერაფერი მოუხერხეს და 66:92 დამარცხდნენ. „ოლიმპისა“ და „არმიის“ ფინალური სერია 19 მაისს დაიწყება.

**სპორტის სასახლეში კიდევ ორი მატჩი გაიმართა.**

**V ადგილისთვის:** შსს აკადემია – „დინამო“ 99:93.

**VI ადგილისთვის:** თსუ – სამედიცინო 91:96.

**გივი გაგუა**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ჰოლანდიის 17-წლამდელთა „ევრო – 2012“-ის ნახევარფინალური მატჩის რუმინელი მსაჯის ვინაობა შევიტყვეთ, რატომღაც გავიფიქრე – მარიუს ავრამი მთლად მამა აბრამის ბატკანი არ იქნება-მეთქი.**

სამწუხაროდ, არც შევმცდარვარ, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ თამაშის გაფუჭებაში მას ხელი ჭაბუკ „ჯვაროსანთა“ გუნდის კაპიტანმაც შეუწყო. ეს იმ ეპიზოდში მოხდა, როცა ჭანტურიამ ჯერ წესების დარღვევით შეაჩერა მეტოქის სახიფათო იერიში, ხოლო შემდეგ ცოცხალი კედლიდან გამოხტა და დაზარალებულს საჯარიმო დარტყმა არ შეასრულებინა.

რასაკვირველია, თავგანწირვისთვის ვერავის გავამტყუნებთ, მაგრამ მაშინ, როცა ერთი გაფრთხილება უკვე გაქვს, დაგვეთანხმებით, ცოტა მეტი დაფიქრებაა საჭირო.

რაც შეეხება მთლიანად შეხვედრას, დაცვის კიდევ ერთი ბურჯის, დისკვალიფიცირებული დვალის არყოფნის მიუხედავად, ვასილ მაისურაძის შეგირდები ბოლომდე ღირსეულად გამოიყურებოდნენ, საკუთარი ძალების რწმენით უმკლავდებოდნენ კონტინენტის მოქმედ ჩემპიონს და მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე მისცეს სასურველი შედეგის მიღწევის საშუალება 2:0.

და კიდევ: თბილისის დაძმობილებულ ქალაქ ლიულიანის „სტაჟიცეს“ სტადიონზე გამართულ ამ ბრძოლას ვეტერან ქართველ ფეხბურთელებთან ერთად ქვეყანაზე თავსდამტყდარი სტიქიური უბედურებისგან გაქცეული ჯერაც პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილიც ესწრებოდა.

ბუნებრივია, ალმა-დალმა შტრიალს ვერავის დავუშლით, მით უმეტეს – უკიდეგანო ძალაუფლებით დაბანგულ ხელისუფალთ. მას კრძალვით მხოლოდ ერთს შევთხოვთ: თავი დაანებოს თანამემამულე სპორტსმენთა დათარსვას! მას ხომ ცუდი ფეხი აქვს.

* * *

**XXIII ეროვნული ჩემპიონატის პლეიოფის ფინიშამდე 2 ტურით ადრე სატურნირო ცხრილში ორხელისუფლებიანობა დამყარდა.**

**ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქუთაისის „ტორპედომ“ ძვირფასი ქულები დააკარგვინა რუსთავის „მეტალურგს“ – 0:0, ხოლო „ზესტაფონმა“ ზუგდიდის „ბაია“ დაჯაბნა – 4:1.**

გათამაშების დებულების თანახმად, თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ გუნდს, რომელსაც მეტი გამარჯვება ექნება მოპოვებული. ჯერჯერობით ამ მაჩვენებლით ქვემოქართლელები ლიდერობენ, მაგრამ რა დააშავეს ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონებმა, რომლებმაც პირველ ეტაპზე პრინციპულ მეტოქეს მთელი 21 (!ქ ქულით გაუსწრეს და, რომ არა აბსურდული ფორმატი, ტიტული უკვე განაღდებული ექნებოდათ?

**და კიდევ:** შესაბამის პუნქტში ხომ გარკვევით არსად წერია, რომელ ეტაპზე მოგებული თამაშების რაოდენობამ უნდა გადაწყვიტოს ოქროს მედლის ბედი. გაურკვევლობიდან გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ამჯერადაც ვთავაზობთ ქართული ფეხბურთის მამებს: დანიშნონ ოქროს მატჩი.

**დანარჩენი შედეგები:** „კოლხეთი“ – „დინამო“ 2:1, „მერანი“ – „დილა“ 1:2.

**სატურნირო მდგომარეობა:** „მეტალურგი“, „ზესტაფონი“ – 49-49, „ტორპედო“ – 42, „დილა“, „დინამო“ – 37-37, „კოლხეთი“ – 29, „ბაია“ – 22, „მერანი“ – 21 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** „მეტალურგი“ – „დინამო“, „დილა“ – „ზესტაფონი“, „ბაია“ – „ტორპედო“, „მერანი“ – „კოლხეთი“.

* * *

**ინგლისი.** „სიტი“ – „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 3:2, „სანდერლენდი“ – „მანჩესტერი“ 0:1, „ვესტ ბრომვიჩი“ – „არსენალი“ 2:3, „ტოტენჰემი“ – „ფულჰემი“ 2:0.

**გერმანია. თასის ფინალი.** „ბორუსია“ – „ბაიერნი“ 5:2.

**იტალია.** „იუვენტუსი“ – „ატალანტა“ 3:1, „მილანი“ – „ნოვარა“ 2:1, „ლაციო“ – „ინტერი“ 3:1, „კატანია“ – „უდინეზე“ 0:2.

**ესპანეთი.** „რეალი“ – „მალიორკა“ 4:1, „ბეტისი“ – „ბარსელონა“ 2:2, „მალაგა“ – „ხიხონი“ 1:0, „სოსიედადი“ – „ვალენსია“ 1:0.

**გიორგი შოთაძე**



ევროლიგა

# ძალა თავს ზემოთაც ყოფილა!

**თურქეთში კალათბურთელ ვაჟთა ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ მიერ ესპანური „ბარსელონის“ ძლევას ბევრმა სპეციალისტმა სენსაცია უწოდა. დუშან ივკოვიჩის შეგირდები კი სხვაგვარად რომ ფიქრობდნენ, ეს გადამწყვეტ პაექრობაშიც გამოჩნდა. თასის ორგზის მფლობელი ცსკა (რუსეთი) ამჯერადაც ფავორიტად მიიჩნეოდა.** ორთაბრძოლაც რუს არმიელთა იერიშებით დაიწყო და მესამე პერიოდში ბერძნები მეტოქეს 19 ქულით ჩამორჩებოდნენ. სასწაული კი მე-4 პერიოდში მოხდა. ელინელებმა დაამტკიცეს, რომ ძალა თავს ზემოთაც ყოფილა: „ოლიმპიაკოსმა“ ბოლოში ისე მოიქნია კუდი, რომ ცსკა ხახამშრალი დატოვა. კოსტას პაპანიკოლაუმ გუნდს 18 ქულა შესძინა, მატჩის გმირი კი გეორგიოს პრინტეზისი გახდა, რომელმაც გამარჯვების მომტანი ორქულიანი თამაშის დამთავრებამდე 0,7 წამით ადრე ჩააგდო. საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე კი არმიელთა ლიტველმა ლეგიონერმა რამუნას შიშკაუსკასმა ორი საჯარიმო ტყორცნა ვერ გამოიყენა. საბოლოოდ გაიმარჯვა „ოლიმპიაკოსმა“ 62:61 (7:10, 13:24, 20:19, 22:8ქ და მთავარი პრიზი მოიპოვა. თასის შარშანდელი მფლობელი „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთიქ მე-4 ადგილს დასჯერდა, რადგან მე-3 ადგილებისთვის ბრძოლაში „ბარსელონასთან“ დამარცხდა – 69:74 (20:21, 17:27, 15:10, 17:16ქ.



მძლეოსნობა

# გოგოჭურის რეკორდული სიმაღლე

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გასულ უქმეზე მძლეოსნობის მსოფლიოს დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება გაიმართა. სარბიელზე უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც გამოვიდნენ. განსაკუთრებით ქვეყნის ნაკრების წევრმა, სიმაღლეზე მხტომელმა ზურაბ გოგოჭურმა იყოჩაღა – 224 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და 28 წლის წინათ დამყარებული საქართველოს რეკორდი 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა. გოგოჭურს ოლიმპიური ლიცენზიის შესრულებამდე 4 სანტიმეტრიღა აკლია და არ არის გამორიცხული, უახლოეს შეჯიბრებებზე ოცნებაც აისრულოს.**

გასულ უქმეებზე თავი გამოიჩინა ბადროს მტყორცნელმა სალომე რიგიშვილმაც. ერთი კვირის წინათ თბილისის ღია ჩემპიონატზე მან 54,40 მეტრით დაიკავა პირველი ადგილი. ამჯერად კი პირადი მიღწევა 58,6 მეტრამდე გაზარდა. სალომეს ოლიმპიურ ლიცენზიას 90 სანტიმეტრი აშორებს.

სპორტის ქომაგებს შევახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ ყაზახეთის უწინდელ დედაქალაქ ალმათიში ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირზე სამხტომში თათია პაიკიძემ, ლაშა ღულელაურმა და 200 მეტრზე რბენაში ბაჩანა ხორავამ პირველი ადგილები დაიკავეს. თათიამ და ლაშამ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს, ბაჩანას კი საამისოდ 0,3 წამი დააკლდა. ერთი თვის შემდეგ ქართველი სპრინტერი ყაზახეთის ღია ჩემპიონატში იასპარეზებს და სალიცენზიო ნორმატივის შესრულებას შეეცდება.



მომდევნო შაბათ-კვირას თურქეთის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე უკვე ლონდონის საგზურის მფლობელი სიგრძეზე მხტომელი მაია გოგოლაძე, ზურაბ გოგოჭური და შუბის მტყორცნელი როსტომ ჭინჭარაული მიიღებენ მონაწილეობას, კიევში უკრაინის ღია ჩემპიონატზე რიგიშვილი გამოვა, 30 მაისს ისრაელსა და 2 ივნისს საბერძნეთში დავით ილარიანი (თარჯრბენიქ და ბოლესლავ სხირტლაძე (სიგრძეზე ხტომაქ იასპარეზებენ.

**ლაშა დიდია**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

მრავალი წლის პოეტურად ნაფიქრალი

# „ეს ჩემი ბოლო აკორდია“

**— რატომ, ასე სევდიანად, ჩვენო ნანა, ჩვენო ძვირფასო?!. „ეს ჩემი ბოლო აკორდია“...**

**ეეეე... რა ვქნათ, ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, სიბერე ღმერთმა ნუ ანახოსო, იტყვის ქართველი კაცი. მართლაც, შუადღის მზეს, დასალიერი როგორ შეედრება, თუმცა, საუბედუროდ, ზოგი ხანმოთეულიც არ არის, ისე მიდის ამ წუთისოფლიდან.**

მოკლედ, ჩემო მკითხველო, ახლავე გაგარკვევთ: ჩვენი ძვირფასი **ნანა ღვინეფაძე** — შესანიშნავი პოეტი და ჟურნალისტი, რომელმაც ათეული წლები ილვაწა ქართულ პრესაში, კერძოდ, ჩვენს გაზეთში, არა ერთი და ორი ათეული წელიწადი ემსახურა ეროვნულ კულტურას, გამორჩეულად ქართულ თეატრს (თეატრმცოდნეობაზე სწავლობდა, ცხონებული დიმიტრი ჯანელიძის შეგირდი იყოძ და, თანაც, რახან „ლექსები იყო მისი საგზალი“, მან თანამედროვე ქართულ პოეზიას თავისებური ხმაც შემატა, არც ჟურნალისტური, არც ლექსების კრებულები, ანუ საქვეყნო აღიარება დაჰკლებია, იგი ამ რამდენიმე წლის წინათ გავაცილეთ „დამსახურებულ პენსიაზე“, დრო უამრავი ჰქონდა, შეარჩია არქივიდან ძველი და ახალი ლექსები, თარგმანები (ნამეტნავად, „თავისი“ ახმატოვას პოეზიაძ და, კეთილი ადამიანების დახმარებით, სულ ორიოდე კვირაა, ისეთი პოეტური კრებული გამოსცა, მტერს რომ თვალს დაუზრმავებს და მოყვარეს გაუხარდება. ჰოდა, არც გაგვკვირვებია, ერთ-ერთი სასიგნალო ეგზემპლარი კრებულისა, თავის საყვარელ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, ანუ თანამშრომლებს გამოუგზავნა.

კრებულისთვის, თავისი **„ცხოვრების ბოლო აკორდისთვის“ (ფუი, ეშმაკს!) „მარჩბივი“ დაურქმევია ნანა ღვინეფაძეს.** „მარჩბივი“ ჩემი ზოდიაქოა, მასში შერწყმულ-შეტყუპებულია 2 საუკუნე და ამავე დროს „ჩემი“ ახმატოვაო“, ამბობს. მთელი ცხოვრება მამულის სიყვარულში გაატარა ჩვენმა ძვირფასმა ნანამ, მისი ლექსი, მისი — ხან ვაჟკაცური, ხანაც უნაზესი ლირიკა ყოველთვის თანხმიერი იყო სამშობლოს გმირული წარსულისა, დღევანდელობისა, მის კალამს ყოველთვის აჩნდა ეროვნულობის ნიშანი და ამიტომაც იყო მისი ყოველი ჟურნალისტური თუ პოეტური სტრიქონი მახლობელი ქართველი მკითხველისთვის:

**მამულო ჩემო,**
**შენს საფიცარ ხატს**
**ბევრმა ესროლა**
**ქვა და ტალახი,**
**მიკვირს მაგ დაჭრილ,**
**დასისხლულ მკერდზე**
**როგორ ამოდის**
**მწვანე ბალახი“...**

იცით, რამდენი ასეთი ნაღდი სტრიქონია ქალბატონი ნანას ლექსების კრებულში, ძვირფასო მკითხველო? ნუ ჩამითვლით ამ შესანატრი ზნეობისა და უმშვენიერესი (დღესაც, მიუხედავად წლებისაძ ქალბატონის პირად სიმპათიად ამ მცირე გამოხმაურებას. მალე გამოვა ეს წიგნი და დარწმუნებული ვარ, პოეზიის მოყვარული არაერთი შესანიშნავი ლექსითაც დატკბება. ბევრმა შეიძლება ესეც თქვას: „თქვენგან ახალ აკორდებს ველოდებით, ქალბატონო ნანა“.

**ვილენ მარდალეიშვილი**




**რედაქციისაგან: როგორც შევიტყვეთ, ეს თავისი „ცხოვრების შეჯამება“ პოეტს საბას პრემიის მოსაპოვებლად წარუდგენია. იმედია, ამ დიდი ლიტერატურული კონკურსის ჟიურის წევრები გულისხმიერებით მოეკიდებიან ჩვენი დროის უთუოდ გამორჩეული ქალბატონის მრავალი ათეული წლის დიდი ადამიანური სიმართლითა და ნაღდი პოეტური ოსტატობით აღბეჭდილ ნაღვაწს...**

ჩვენი თანამედროვენი

# ისმინე, ღვაწლის მძებნელო...

**მკითხველთან მობოდიშებით უნდა დავიწყო, საკუთარი პუბლიკაციის ხსენების გამო — 3 მაისის „სრ“-ში ვწერდი, გერმანელ პროფესორ ოტოლარინგოლოგთან, აწ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრთან კარლ ჰუტენბრიკთან პროფესორ-აუდიოლოგის ზურაბ ქევანიშვილის შემოქმედებით თანამოღვაწეობას პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული 34 მეცნიერული შრომა რომ მოჰყვა და რომ გაძნელდება ესოდენ ეფექტიანი თანაავტორობის მეორე მაგალითის გამოძებნა.**

ეს ციფრი როცა შევიტყვე, ისე შთამბეჭდა, რომ ჩვენი აკადემიის „შინა“ წევრი ზურაბ ქევანიშვილის „კურრიკულუმ ვიტე“ (ცხოვრების აღწერაძ მოვიძიე, სადაც შთამბეჭდავი ამბავი თუ ციფრი სხვაც ბევრი დამხვდა.

ბატონი ზურაბი ავტორი ან თანაავტორი ყოფილა 335(!ძ გამოკვლევისა, რომელთაგან 159 — ინგლისურ, 101 რუსულ, 41 — ქართულ, 33 — გერმანულ და ერთიც ბულგარულ ენაზეა გამოქვეყნებული და ინგლისურ-გერმანულ ენებზე დასტამბული 192-დან ბევრი მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო გამოცემებშია წარმოდგენილი. აქვე სათქმელად, ამ გამოცემებში მოხვედრილმა შრომებმა 1993 წელს ჯორჯ სოროსის ფონდის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია დაიმსახურეს (როგორც ვხედავთ, ამ მილიარდერის სახელთან კეთილი საქმეებიცაა დაკავშირებულიძ.

სამი მონოგრაფიის თანაავტორიც გახლავთ ზურაბ ქევანიშვილი და აქედან ორს სმეა-ის მაღალი ჯილდოები ხვდა — ივანე თარხნიშვილის სახელობისა და ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემიები; ხოლო ცინცხალი მესამე (წელს გამოსული!ძ, ასევე თანაავტორობით დაწერილი, საქართველოს ეროვნულ პრემიას „გასცქერის“ და ვფიქრობ, შეიტკბობს კიდევაც... იმისი მეცნიერული საქმიანობის მთელი, სრული პროდუქცია, — ორივე, საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია, სტატიები, მონოგრაფიები თუ მეთოდური რეკომენდაციები — პრაქტიკულად ერთიანად სმენის სისტემის ფიზიოლოგიას (გამოყენებითსაცძ განეკუთვნება.

ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ბატონი ზურაბის სამივლინებო-საკონფერენციო „გეოგრაფიაც“: ხშირად და ხანგრძლივადაა ნამყოფი, სწორედ სამეცნიერო მივლინებებით, გერმანიაში კონგრესებით, კონფერენციებით, სიმპოზიუმებით, ყრილობებით აქვს მოვლილი, მშობლიური თბილისის გარდა, აიზენახი, ანტვერპენი, ბად ბერკა, ბუდაპეშტი, დრეზდენი, ერფურტი, ვაიმარი, ვარნა, ვენა, ილმენაუ, ინსბრუკი, კაუნასი, კრაკოვი, მაგდებურგი, მანჰაიმი, ჰაიდელბერგი, ჰალე.

ახლა საზღვარგარეთულ გრანტულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა! ეს ზურაბ ქევანიშვილის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის წყალობითაა, რომ გერმანელმა და ჰოლანდიელმა კოლეგებმა უსასყიდლოდ გადმოგვცეს სმენის სკრინინგის (სწრაფი კვლევის აპარატები; იმათი გამოყენებით, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველად საქართველოში დაიწყო სკრინინგული ტიპის გამოკვლევები და დღეისათვის 100 ათასზე მეტ(!ძ ახალშობილსა თუ პირველკლასელს ჩაუტარდა. იმავე ავტორიტეტმა გახადა ის ერლანგენის მედიკო-ფიზიკური საზოგადოების, ოტორინოლარინგოლოგთა მსოფლიო კოლეგიის, ამერიკის აკუსტიკური საზოგადოების, გერმანიის ოტორინოლარინგოლოგთა, თავისა და კისრის ქირურგთა საზოგადოების, ჰალბერშტადტის ოტორინოლარინგოლოგთა და აუდიოლოგთა საზოგადოებისა და კიდევ სხვა პრესტიჟული გაერთიანებების წევრი თუ საპატიო წევრი...

1990-იანი წლების შუამდე ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა სასმენი აპარატების გამოყენების ტრადიცია და იმათი სისტემატური დანერგვა ისევ და ისევ ბატონი ზურაბის სახელს უკავშირდება. ეგ კი არა, ჩვენი აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის (რომელსაც პროფესორი ზ. ქევანიშვილი აგერ 22 წელია უძღვებაძ მკვიდრი რეპუტაციიდან გამომდინარე, სასმენი აპარატების უმსხვილესმა უცხოურმა კომპანიამ ამ ცენტრის ბაზაზე დააფუძნა თავისი ფილიალი, თანაც საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით დაბალი ფასები დააწესა (განა ჩვენში ყველაფერი სიძვირით დაიშანთა...ძ. სხვათა შორის, როგორც სასმენი აპარატების შერჩევა-მორგების, ისე იმპლანტთა რეგულირების სფეროში, საქართველოში სწრაფად იქნა მიღწეული საერთაშორისო დონე, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა სმენის რეაბილიტაციის საკითხებისადმი ცენტრისთვის, კერძოდ, იმისი დირექტორისთვის ნიშანდობლივმა ფიზიომიდგომებმა...

ღირსეულ კაცს ოჯახიც ღირსეული ჰყავს. მეუღლე, პროფესორი ბუციკო ჩხარტიშვილი ბიოლოგია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი; უფროსი ვაჟი, მედიცინის დოქტორი ივანე ქევანიშვილი მამის კვალზე დამდგარი აუდიოლოგია; უმცროსი — ლაშა იურისტია, შპს „მეიდან-ჯგუფის“ გენერალური დირექტორი; შვილიშვილებიდან მეორეკურსელი სტუდენტი-მედიკოსი მარიამი, მეხუთეკლასელი ლიზი და მეოთხეკლასელი ზუკა მტკიცედ მიჰყვებიან დავითის მცნებას და ბრწყინვალედ სწავლობენ, „ნაბოლარა“ ნიკა კი ჯერ მხოლოდ ორი წლისაა...

არ მოკლებოდეს ქართულ მეცნიერებას ბატონი ზურაბის მსგავსად ოჯახიდან „განდგომილები“-მეთქი, ვიფიქრე მე აქ...

**თამაზ ებანოიძე**

## სს „მინას“ აქციონერთა საყურადღებოდ!

**საზოგადოების აქციონერთა მორიგი საერთო კრება ჩატარდება კომპანიის ოფისში 2012 წლის 30 მაისს 11 საათზე, მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფელი ქსანი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2011 წლის სამეურნეო ანგარიში;
2. 2011 წლის აუდიტორის ანგარიში;
3. 2012 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
4. სხვადასხვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების საადრიცხვო თარიღად დადგენილია 2012 წლის 15 მაისი.

კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან სს „კავკასრეესტრთან“ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა. აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობის ან აქციათა რეესტრის საფუძველზე.



**სკოლის მეგობრები ანზორ შონია, კარლო ვეკუა, თენგიზ მეუნარგია, ანზორ ჭითანავა, ოთარ ბულია, გოგი თოდუა, არსენ ლოლუა, ვაჟა კეიდია, ფელიქს იზორია, გივი სოსელია, გენო კობახიძე, რემი ზარანდია, ლორე ქირია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, უსაყვარლესი პიროვნება**

**რემი დეისაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს. პანაშვიდი 15, 16 V, 17 სთ. გამოსვენება 17 V, 14 სთ. ვაჟა-ფშაველას №14, I შეს. V სართული.**

ინფორმაცია

## საქართველოდან შერეული ნავთობპროდუქტის გატანის შესაძლებლობა იქმნება

**შესაბამისი ცვლილება „ნავთობისა და გაზის შესახებ“ კანონში შედის. მოქმედი კანონმდებლობით, ნავთობის გადამუშავება მხოლოდ იმ პროცესების ერთობლიობას ნიშნავს, რომელიც მოიცავს ნედლი ნავთობის გადამუშავებას ნავთობპროდუქტების მიღების მიზნით.**

**კანონპროექტით კი დგინდება, რომ ნავთობის გადამუშავებად ჩაითვლება შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული ნავთობპროდუქტების შერევაც (კომპაუნდირება) იმ შემთხვევაში, თუ მიღებული პროდუქცია საქართველოს ტერიტორიიდან გავა.**

**როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნავთობპროდუქტების შერევის (კომპაუდირების) სამართლებრივ რეგულირებას.**

**„პროექტის მიზანია საქართველოში ნავთობპროდუქტების შერევის (კომპაუდირების) დეფინიციისა და საგადასახადო რეგულირების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს არსებული ტექნიკური ბაზის გამოყენებით ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ასეთ პროდუქციაზე საერთაშორისო ბაზრის მზარდი მოთხოვნილების გათვალისწინებით“. — ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.**

## პროფკავშირების დაფუძნება მარტივდება

**შესაბამისი ცვლილებები „შრომის კოდექსში“ შედის. მოქმედი რედაქციით, პროფესიული კავშირის დაფუძნებისთვის 100 პირის ინიციატივაა საჭირო. კანონპროექტით კი, პროფესიული კავშირის დაფუძნება უკვე 50 პირს შეეძლება.**

**კანონპროექტის ინიციატორი მთავრობაა. პარლამენტი პროექტის განხილვას უახლოეს დღეებში დაიწყებს.**

ინტერპრესნიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## დედაქალაქი



# ახალი გზა ბებერ ნარიყალაზე

**მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად თბილისში უამრავი მშენებლობა მიმდინარეობს, რაც დედაქალაქს კიდევ უფრო მეტად ალამაზებს და აკოხტავებს, ზოგი მაინც გამორჩეულია თავისი სიახლითა და დანიშნულებით.**

ერთი ასეთი გამორჩეულია მტკვრის რიყიდან ნარიყალამდე მისასვლელი საბაგირო გზა, რომლის ამოქმედება მაისის მიწურულისთვისაა დაგეგმილი. ქვედა სადგური, როგორც აღვნიშნეთ, რიყეზეა, ზედა კი ნარიყალის გორაზე წმინდა ნიკოლოზის სახელობის საყდრის გვერდითაა აშენებული. ახალი გზის სიგრძე 600 მეტრია, რომლის გავლას შვიდიდან თითოეული გონდოლა ორ წუთს მოანდომებს. საბაგიროს ვაგონები, რომლებიც ავსტრიულმა ფირმა „ლაიტნერმა" დაამზადა, მისივე სპეციალისტებმა დაამონტაჟეს. ახალი საბაგირო გზის მგზავრებს, რომლებიც ნარიყალის გორაზე ავლენ, თბილისის არაჩვეულებრივი ხედით დატკბობის შემდეგ იქიდან ბოტანიკურ ბაღში კიბით ჩამოსვლის შესაძლებლობა ექნებათ. დედაქალაქის მცხოვრებთათვის და სტუმართათვის ნარიყალას გორაზე მრავალი კაფე აიგო, მოეწყო საკმარისი ტევადობის ავტოსადგომი. გზის მშენებლობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს თბილისის განვითარების ფონდის თანამშრომელთა ხარისხიანი მუშაობა.

სავარაუდოა, რომ ამ დღეებში საბაგირო გზას საზეიმოდ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თბილისის მერი გიგი უგულავა გახსნიან, თუმცა კი თვის დამლევამდე კიდევ საკმაო მოცულობის სამუშაოა დარჩენილი.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



## დაიჯესტი

### ტრაგედიის კვალდაკვალ

**შარშან, 22 ივლისს ნორვეგიაში ანდერს ბრეივიკის მიერ მოწყობილი სისხლიანი დრამა შეიძლებოდა არც მომხდარიყო, მისი სხვა ასევე ბოროტი ჩანაფიქრი, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამაზე... თავდასხმა რომ განხორციელებულიყო.**

ყოველ შემთხვევაში თავისი ამ გეგმის შესახებ, რომლის განხორციელებას იგი 2009 წელს გეგმავდა, ბრეივიკმა, ნორვეგიული გაზეთის „დაგბლადეტის" ცნობით, გამომძიებლებს უამბო.

დაკითხვათა ოქმებით ირკვევა, რომ მომავალი ტერორისტი პოლიციელად გადაცმასა და ობამას ადგილსამყოფელთან რაც შეიძლება ახლოს ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტომანქანის მიყვანას გეგმავდა. საქმე ის არის, რომ 2009 წელს ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ნორვეგიაში, ოსლოში ნობელის მშვიდობის პრემიის მისაღებად იყო ჩასული. გამომძიებლებს კი ბრეივიკმა განუცხადა, რომ თეთრი სახლის ახლანდელი მეპატრონის მიმართ საწინააღმდეგო პირადად არაფერი აქვს, მაგრამ, როგორც „ევროპელ ანტიმარქსისტს" მშვიდობის პრემია სძულს, რადგან მას „ძირითადად მემარცხენეებს ანიჭებენ". თუმცა შემდეგ ბრეივიკი მიხვდა, რომ მის მიერ ჩა-



ფიქრებულ ტერაქტს განხორციელების შანსი ფაქტობრივად არა აქვს, ამიტომ კიდევ ორი წლით გაირინდა...

თუმცა ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ბრეივიკის „მოულოდნელი აღიარება" ნაკლებად ჰგავს გამომძიებელთა მიერ ბრეივიკის ტერორისტული გეგმების გახსნას. როგორც ჩანს, ესაა ბრეივიკის შეურაცხადად ცნობის საწყისი ეტაპი – მხოლოდ ამ გზით (ისიც, თუკი მიღებული იქნება საგანგებო კანონი) იქნება შესაძლებელი მისი სამუდამოდ საგიჟეთში გამოკეტვა და არა ციხეში ჩასმა, საიდანაც იგი შეიძლება 21 წლის შემდეგ გამოვიდეს.



### ლამაზმანები დნეპრის ნაპირებიდან

**ავტორიტეტული ჰონკონგური ინტერნეტ-გამოცემის „თრეველერ დაიჯესტის" თანამშრომლებმა მსოფლიო ქალაქების ტურისტული მიმზიდველობის რეიტინგი... იქაურ ქალბატონთა მომხიბლავობისდა მიხედვით შეადგინეს.**

მათი აზრით, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალები უკრაინის დედაქალაქ **კიევში** ცხოვრობენ. „კიევის ქუჩებში თუ გაისეირნებთ, აღფრთოვანებული დარჩებით, რადგან ასეთი მშვენიერების წარმოდგენაც კი ძნელია, – აცხადებენ რეიტინგის ავტორები. ლამაზ ქალს აქ პრაქტიკულად ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით, თანაც ისინი ჩინებული თანამოსაუბრეებიც არიან".

რეიტინგის მეორე საპატიო ადგილზე შვედეთის დედაქალაქის **სტოკჰოლმის** ლამაზმანები გავიდნენ, ხოლო სამეულის „ჩამკეტნი" **ნიუ-იორკელი** ტურფები არიან. შვედ ქალებზე ნათქვამია, რომ ყველაფერი, რაც მათ შესახებ სარეკლამო რგოლებშია მოთხრობილი, სრული ჭეშმარიტებაა, ხოლო „დიდი ვაშლის" მკვიდრნი კი საზრიანი მოდური ქალები, ზღაპრული სილამაზის მოდელები და მომხიბლავი „ჩანჩურები" არიან.

მეოთხე-მეხუთე ადგილები თანაბრად გაიყვეს არგენტინის დედაქალაქმა **ბუენოს-აირესმა** და ბულგარულმა **ვარნამ,** თანაც ჰონკონგელმა მექალთანეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვარნელი ქალიშვილები კიეველებისა და **რუსების** დარად ტანმაღალნი და ცისფერთვალებები არიან, რომლებსაც მეექვსე ადგილი ერგოთ. როგორც ჩანს, მოსკოველ ქალიშვილებს „საქმე გაუფუჭათ" იმ გარემოებამ, რომ ქუჩაში მათი გაცნობა ძნელი საქმეა.

მოსკოველთა შემდეგ მსოფლიოს ულამაზეს ქალთა ტოპ-ათეულში აგრეთვე მოხვდნენ **თელ-ავივის, ამსტერდამის, სეულისა** და **მონრეალის** მშვენიერი სქესის წარმომადგენლები.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

## კადრი



## ანეკდოტები

**მიხო** ტელევიზორში პორნოფილმს უყურებს.

– მამი, რატომ არ შეიძლება ბავშვებისთვის ამ ფილმის ყურება? – ეკითხება პატარა ნიკა.

– ჩუმად იჯექი... მალე თვითონ ნახავ...

* * *

– **შვილო,** ხუთი თეფში მომიტანე! – გასძახის მარო თავის ქალიშვილს.



– რად გინდა მაგდენი?

– მამაშენთან მაქვს სალაპარაკო.

**მიხო** და ნიკა წვეულებაზე მიიწვიეს, მაგრამ დარბაზში რატომღაც მარტო მიხო შეუშვეს.

– ნუ გეფიქრება, მოგიხერხებ რაღაცასო, – უთხრა მიხომ, – და როგორც კი დარბაზში შევიდა, მაშინვე ფანჯარა გამოაღო – აქედან შემოძვერიო, – გადასძახა ნიკას.

ამ დროს მიხოს ერთი ლამაზმანი გაეცეკვა. ცეკვისას გოგომ შეამჩნია, რომ მიხოს ხვანჯარი მოღიავებული ჰქონდა, მაგრამ პირდაპირ რომ არ ეთქვა, გადაკვრით მიანიშნა – ფანჯარა დაგრჩენიაო ღია!

– ვიცი, – უპასუხა მიხომ, – იქიდან ახლა ჩემი ბანჯგვლიანი მეგობარი ამოხტება!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24